# სარბიელი

საორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 მარტი 2003 №48 (1819) ფასი 50 თეთრი


UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ომია! პირდაპირი ჩვენებით და სუპერფსონებით





REUTERS რომიდან

რომა — აიაქსი 1:1. ჰოლანდიელი ვან დერ მეიდეს 36-ე წამზე გასროლილმა „რომა" შეიწირა

# კახა კალაძე: ირლანდია გამოირიცხა, შვეიცარია არ ვიცი

იტალიური „მილანის" ქართველი მცველი კახა კალაძე კიდევ ორი კვირა ვერ ითამაშებს. შესაბამისად, ის საქართველო — ირლანდიის 29 მარტის შესარჩევ შეხვედრას გამოტოვებს. ამჟამად კახა დარბაზში მსუბუქად ვარჯიშობს და ექიმების მეთვალყურეობით იმ პროცედურებს იკეთებს, რაც ბარძაყის დაჭიმული კუნთის აღსადგენადაა საჭირო.

— მკურნალობის კურსი ნორმალურად მიმდინარეობს, ვგრძნობ, რომ უკეთ ვარ, თუმც მოედანზე გასვლა ჯერ ნაადრევია — გვითხრა კახა კალაძემ წუხელ, როცა მილანში დავუკავშირდით — კიდევ ერთ კვირას დარბაზში ვივარჯიშებ, ექიმების სიტყვასა და სამედიცინო აპარატურის ჩვენებას დაველოდები, მერე ვნახოთ, იქნებ გუნდს დავუბრუნდე და ვარჯიში ძუნძულით განვაახლო. ირლანდიასთან 29 მარტს ჩემი თამაში გამორიცხულია. ეგ კი არა, ვეჭვობ, შვეიცარიასთან მატჩისთვის შევძლო ფორმის აღდგენა. იქამდე თუ გამოვჯანმრთელდი, ხომ კარგი, ჩამოვალ სასაკრ... შეკრებაზე, თუ არადა, რა აზრი აქვს მკურნალობის კურსის შეწყვეტას.



კახა კალაძე, შეგახსენებთ, ათი დღის წინ სერია A-ს „კიევოსთან" მატჩისას დაშავდა და მაშინდელი პროგნოზით თამაშს ორი-სამი კვირა ვერ შეძლებდა, სათუო იყო ეროვნულ გუნდში მისი თამაშიც. ახლა კი დანამდვილებით შეგვიძლია თქმა, რომ ნაკრებს კალაძის დახმარების იმედი ირლანდიასთან არ უნდა ჰქონდეს. თუ კახა 2 აპრილამდე, შვეიცარიასთან თამაშამდეც ვერ გამოჯანმრთელდა, მას 30 აპრილისთვის და რუსებისთვის უნდა ველოდოთ.

ძოზა ინასარიძე

# დამოკი-დებულება

## მანწკავას საქმემ და ვიტ ჯორჯიას ათასლარიანმა პროტესტმა ათასი კითხვა დაბადა

### მიზეზი: ზერელე დამოკიდებულება

მანწკავას საქმედ წოდებული „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" დავა ორმაგი დაუდევრობის ნიმუშად შეიძლება გამოდგეს.

გავიხსენოთ: გუშინწინდელ სათასო შეხვედრაში „დინამოს" განაცხადში გიორგი მანწკავაც ჰყავდა — ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის უფლება არ ჰქონდა. „ვიტ ჯორჯიამ" ეს ამბავი ნამატჩევს აღმოაჩინა და ახლა ტექნიკურ გამარჯვებას ითხოვს. საქმეს სადისციპლინო კომიტეტი გაარჩევს.

თამაშის უფლების არმქონე ფეხბურთელის განაცხადში ყოლა — ამ მშრალი ფორმულირების უკან ფრიად საინტერესო რამ იმალება:

თუ შუშაკმა მანწკავა განაცხადში არ შეიყვანა, როგორ იმგზავრა ამ ფეხბურთელმა ბაზიდან სტადიონამდე გუნდთან ერთად და როგორ მოხვდა სათადარიგოთა სკამზე? ბოლოს და ბოლოს, თავად მწვრთნელს ხომ უნდა შეენიშნა თუნდაც გასახდელში მყოფი მანწკავა. შესაძლოა, მანწკავა არც ყოფილა გასახდელში მატჩისწინა დარიგებისას. ლევან სალუქვაძის თქმით, ამ ფეხბურთელს გუშინწინ ეკიპირებაც კი არ ჰქონია „ეროვნულზე", მაგრამ ვილაცას მაინც ხომ უნდა მოეკრა თვალი გუნდთან ერთად მოტრიალე ფეხბურთელისთვის. მერე კლუბის წარმომადგენლებს ოფიციალური ოქმის შევსებისას მექანიკური შეცდომა მოუვიდათ, რომელიც არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება...

მაგრამ ეს მაინც კლუბის პრობლემა და თავისტკივილია. ჩვენ უფრო საზოგადო ამბავი გვაინტერესებს, ანუ მეორე დაუდევრობა, რომელიც „მანწკავას საქმის" გარჩევისას ამოტივტივდა — ფედერაციის დაუდევრობა.

უეფას წესებით, მატჩის მონაწილედ ის ფეხბურთელი ითვლება, ვინც ითამაშა კონკრეტულ შეხვედრაში.

გიორგი მანწკავა სათადარიგოთა სკამიდან არ ამდგარა, ანუ მონაწილედ არ ითვლება. მაგრამ ეს უეფასეული განმარტებით, ქართული ფედერაციის რეგლამენტში კი ეს სავსებით გასაგებად ჩამოყალიბებული ფორმულირება, ცუდად თარგმანის თუ არაკომპეტენტურობის გამო, ისეა გადმოტანილი, გინდა ასე გაიგებ, გინდა — ისე, ჰოდა, ამგვარი ორაზროვანი დებულების შემყურე გაარკვიე ტყუან-მართალი.

ფედერაცია კომენტარს არ აკეთებს: გვინდა, კორექტულები ვიყოთ და სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებაზე ჩვენი მოსაზრებით ზემოქმედება არ მოვახდინოთო. თუმცა რატომღაც გვგონია, კორექტულობას ამოფარება არაკომპეტენტურობის დამალვის მცდელობაა.

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## II ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### A ჯგუფი

**ლევერკუზენი 0:2 ინტერი**

0:1 მარტინსი (36), 0:2 ემრე (90)
*მორფეომ ვერ გაიტანა პენალტი (42, მეკარე)*
ლევერკუზენი: ბუტი, პლასენტე, კლაინი, რამელო, ოჯიგვე, კალუჟნი, შიმაკი (კრისი 63), ბიროფკა, ბაშთურქი (შნაიდერი 46), ფრანცა, ბრდარიჩი (ნოივილი 46)
მწვრთნელი: თომას ჰიორსტერი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, კანავარო, კოკო, კონსეისაუ (გულიელმინპიეტრო 83), დი ბიაჯო, ოკანი (კ. ძანეტი 19), ემრე, მორფეო (პასკუალე 75), მარტინსი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: ოჯიგვე, კლაინი, მარტინსი, კრისი
მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)
22 500 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:2 ბარსელონა**

0:1 კლუივერტი (60), 0:2 მოტა (74)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ბრემბლი, ობრაიენი, ბერნარი, სოლანო (ამეობი 67), დაიერი, ჯენასი, რობერი (ვიანა 67), შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ბარსელონა: ვალდესი, გაბრი, ანდერსონი, დე ბური, რაიციგერი, როჩემბაკი, ხავი (ხერარდი 46), მოტა, მენდიეტა (ინიესტა 67), კლუივერტი (სერხიო გარსია 70), რიკელმე
მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: ხავი, ბერნარი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
51 883 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 6 | 5 | 1 | 0 | 12:2 | 16 |
| ინტერი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:8 | 11 |
| ნიუკასლი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:13 | 7 |
| ლევერკუზენი | 6 | 0 | 0 | 6 | 5:15 | 0 |

*„ბარსელონა“ და „ინტერი“ გავიდნენ მეოთხედფინალში*

### B ჯგუფი

**რომა 1:1 აიაქსი**

0:1 ვან დერ მეიდე (1), 1:1 კასანო (23)
რომა: პელიცოლი, კუფრე, პანუჩი, ალდაირი, კანდელა, კაფუ (ფუზერი 81), ტომაზი (გიგუ 81), ემერსონი, ლიმა (მონტელა 65), დელვეკიო, კასანო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
აიაქსი: ლობონტი, ტრაბელსი, პასანენი, კივუ, ჯ. ობრაიენი, ვან დერ მეიდე (სიკორა 72), პიენაარი, გალაშეკი, მაქსველი, იბრაჰიმოვიჩი (ვიჩგე 90), ვან დერ ვაარტი
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გაფრთხილება: დელვეკიო, ვან დერ მეიდე, ლობონტი, კუფრე, ალდაირი
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
70 500 მაყურებელი

**ვალენსია 2:1 არსენალი**

1:0 კარეუ (34), 1:1 ანრი (49), 2:1 კარეუ (57)
ვალენსია: კანისარესი (პალოპი 70), რეველიერი, აიალა, პელეგრინო, კარბონი, რუფეტე, ალბელდა, აიმარი, ვისენტე, კარეუ (მარჩენა 89), ხუან სანჩესი (ანგულო 68)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
არსენალი: ტეილორი, ლორენი, კემპბელი, სიგანი, ტურე (კანუ 87), ვილტორდი (ჯეფერსი 76), ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ლიუნგბერგი, პირესი, ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: კარბონი, ვიეირა, პელეგრინო, აიმარი, პირესი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
50 000 მაყურებელი

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:6 | 9 |
| აიაქსი | 6 | 1 | 5 | 0 | 6:5 | 8 |
| არსენალი | 6 | 1 | 4 | 1 | 6:5 | 7 |
| რომა | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 |

*„ვალენსია“ და „აიაქსი“ გავიდნენ მეოთხედფინალში*

### მეოთხედფინალში ითამაშებენ

| | |
|---|---|
| ბარსელონა (ესპანეთი) | მილანი (იტალია) |
| ინტერი (იტალია) | რეალი (ესპანეთი) |
| ვალენსია (ესპანეთი) | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| აიაქსი (ჰოლანდია) | იუვენტუსი (იტალია) |

*მეოთხედფინალების და ნახევარფინალების წილისყრა გაიმართება პარასკევს, შვეიცარიულ ნიონში თბილისის დროით 15 საათზე*

### [illegible]

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
კფულენდორფი 1:0 შვაინფურტი

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტრასბური 1:1 ბორდო

### ინგლისი

პირველი დივიზიონი
XXXVIII ტური
ძოვენთრი 0:4 პორტსმუთი
ნოტინგემი 3:0 დერბი ძაუნთი
მეორე დივიზიონი
XXXVIII ტური
სუინდონი 1:1 ბრისტოლი
მესამე დივიზიონი
XXXVIII ტური
ბოსტონი 1:0 დარლინგტონი

### პოლონეთი

XVII ტური
ოდრა 5:1 ვიძევი
ამიცა 1:3 პოლონია
ვისლა 2:2 ბარბარნია
კატოვიცე 2:0 პლოცკი
გურნიკი 0:0 რუხი
ოსტროვეცი 1:3 ლეხი
პოგონი 0:1 ზაგლემბე

### თურქეთი

სუპერლიგა
გადადებული მატჩები
ძოჯაელი 0:0 ბურსა
გაზიანთეფი 4:0 ელაზიგი
გალათასარაი 0:1 დენიზლი

### ავსტრია

თასის 1/8 ფინალი
ბად ბლაიბერგი 0:2 *აუსტრია*
არნფელსი 0:4 *გრაცერი*

### რუსეთი

თასის 1/4 ფინალი
*ანჟი* 1:1დ.დ. (პენ. 4:2, 1:1) კრილია
ხიმკი 0:1 *როსტოვი*
ლადა 0:0 (პენ. 3:2) სატურნი
სოკოლი 2:3 *სპარტაკი*

### საბერძნეთი

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი
ეთნიკოსი 1:0 *არისი* (1:3)

### შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
რეინჯერსი 2:0 მოზერუელი
მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩი
სტირლინგი 1:0 ძუინზ პარკი

### შვეიცარია

A/B ჯგუფი
გადადებული მატჩი
კრინსი 0:1 ვადუცი

### ჩეხეთი

გადადებული მატჩი
სიგმა 2:1 სინოტი

## კალათბურთი

# ევროლიგა
## მეორე ჯგუფური ეტაპი. III ტური. 19 მარტი

**D ჯგუფი**
ეფესი 71:69 ცსკა

**E ჯგუფი**
პანათინაიკოსი 78:74 ულძერი
სკიპერი 70:85 სიენა

**F ჯგუფი**
ტაუ 93:73 კინდერი

**G ჯგუფი**
ვილერბანი 77:78 ოლიმპია

# მშვიდობით, იარაღო! არსენალი აფეთქდა

სამ-სამი იტალიური და ესპანური, თითოც ინგლისური და ჰოლანდიური — ძნელი გამოსაცნობი არ არის, ესენი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასული კლუბები არიან. ჯგუფებიდან ადრე გასულებს გუშინ „ინტერი“, „ვალენსია“ და „აიაქსი“ შეუერთდნენ და ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპიც ამით დასრულდა.

ინგლისელმა ბუქმეიკერებმა გუშინ ღამევე გამოაქვეყნეს ჩემპიონთა თასის მოგებაზე ახალი კოეფიციენტები, ხოლო ფავორიტობის მიხედვით გუნდები ამგვარი თანმიმდევრობით დაალაგეს: „რეალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „იუვენტუსი“, „ვალენსია“, „მილანი“, „ინტერი“, „ბარსელონა“ და „აიაქსი“.

გუშინ ღღისით ყველაზე ბუნდოვანი ვითარება B ჯგუფში იყო, საიდანაც ვადამდე არავინ გასულიყო და ოთხივე გუნდი ინარჩუნებდა სამეოთხედფინალო შანსს. თანაც, ისეც შეიძლებოდა მომხდარიყო, ერთბაშად სამ გუნდს დაეგროვებინა თანაბარი ქულები და დამატებით კრიტერიუმთა დაანგარიშებამდე მისულიყო საქმე.

ზედმეტ თვლას გადავრჩით: ესპანეთის ჩემპიონმა ინგლისისა დასცა, „აიაქსი“ კი ფრედ ეთამაშა „რომას“, რაც სავსებით აძლევდა ხელს და ერთი ქულით გაუსწრო „არსენალს“. „რომა“ ჯგუფში ბოლოა.

„აიაქსმა“ ძალიან სწრაფად, წამატებულ დროსაც თუ მივათვლით, თამაშის დასრულებამდე 94 წუთით ადრე გაუტანა რომაელებს — 36 წამზე ენდი ვან დერ მეიდემ ჩაუჭედა ივან პელიცოლის შორეულ კუთხეში. აქედან მოყოლებული საფინალო სასტვენამდე, კაცი არ მოიწყენდა და რაკი „რომას“ უცილობლად გამარჯვება სჭირდებოდა, შტურმიც მოუწყო მეტოქეს, რომელიც გვარიანად სცოდავდა დაცვაში. მაგრამ კაპელოს რაზმი ერთ საპასუხოზე მეტს ველარ გამორჩა. არადა, რამდენი საუკეთესო მომენტი ჰქონდა...

მაგრამ ერთიცაა, რომ თუ „არსენალი“ ვალენსიაში წააგებდა, „რომას“ მოგებაც ჯგუფში ტოვებდა, ლონდონელებმა კი ვერც თავად იხეირეს და ვერც რომაელებს დაეხმარნენ. ისე, „რომას“ რომ მოეგო, მაშინ „არსენალი“ გადიოდა ჯგუფიდან...

იმ ჯგუფში კი, სადაც „ბარსელონას“ პირველობას ვერავინ შეეცილებოდა, ყველაფერი უფრო მარტივად იყო და მეორე ადგილის ბედი „ინტერის“ ლევერკუზენში თამაშზე გახლდათ დამოკიდებული.

„ინტერმა“ იოლად მოიგო და ორი აღსანიშნავი ამბავიც მოახდინა: ერთი, რომ ლიგის ისტორიაში ერთდროულად სამ იტალიურ გუნდს აქამდე არასდროს გაუღწევია მეოთხედფინალში, მეორე კი ის, რომ იმავ ლიგის ისტორიაში გუნდმა პირველად ჩაამთავრა მეორე ჯგუფური ეტაპი ექვსი წაგებით — ეს გუნდი „ლევერკუზენია“. და რაკი მომდევნო სეზონიდან მეორე ჯგუფური ეტაპი უქმდება, „ლევერკუზენის“ ანტირეკორდს ველარავინ გაიმეორებს. საერთოდ კი, ეს მესამე შემთხვევაა, გუნდმა ექვსივე თამაში რომ წააგო, აქამდე ასეთები „ფენერბაჰჩე“ და „სპარტაკი“ იყვნენ, ოღონდ პირველ ჯგუფურ ეტაპზე.

ინგლისელ ბუქმეიკერთაგან დაწუნებული „ბარსელონა“ კი კვლავ დაუმარცხებელია. ნიუკასლში მოგება არაფერში სჭირდებოდა და მაინც მოიგო, რითაც ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ 15 წაუგებელი თამაში მიითვალა.

ერთიც: მეოთხედფინალისტთაგან შვიდი ჩემპიონთა თასის მფლობელია, მერვე კი — „ვალენსია“, ზედიზედ ორგზის ფინალისტი.

ხვალ წილისყრაა. სულ სამეოთხედფინალოდ დაწყვილების 16 ვარიანტია, ისე, რას იტყვით, „მილანი“ „ინტერს“ რომ დაეჯახოს, „რეალი“ კი „ბარსელონას“?



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — ბარსელონა 0:2. პატრიკ კლუივერტმა შეი გივენს შანსი არ დაუტოვა




REUTERS ვალენსიიდან



ვალენსია — არსენალი 2:1. ტიერი ანრის და არსენალელებს ხასიათი იონ კარეუმ წაუხდინა

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. C ჯგუფი

# აი, იღბალი!

## რობერტო კარლოსმა რონალდოს თავი გაიხსენა და ვერ გაიხსენა

**ლოკომოტივი 0:1 რეალი**

**0:1 რონალდო (35)**
**ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ევსეევი, ხენიკოვი, მნგუნი (ჟულიო სეზარი 71), იზმაილოვი, მამინოვი (სირხაევი 80), ლოსკოვი, პიმენოვი**
**მწვრთნელი: იური სიომინი**
**რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, სოლარი, ფიგუ, მაკელელე, კონსეისაო, ზიდანი (კამბიასო 90), რაული, რონალდო (გუტი 80)**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**გაფრთხილება: ნიჟეგოროდოვი**
**მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)**
**25 000 მაყურებელი**



ფლავიო კონსეისაომ თავი ბურთს დაჰკრა, ხელი მარატ იზმაილოვს

REUTERS მოსკოვიდან

მადრიდის „რეალმა", ყველგან და ყველაფერს რომ იგებდა, რუსეთში პირველად გაიმარჯვა — რონალდოს გოლის წყალობით და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გაალწია. „ლოკომოტივის" არცთუ საგაზაფხულო სტადიონზე ბრაზილიელმა თავი დაჰკრა ლუიშ ფიგუს მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს. ეს ამბავი პირველი ტაიმის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მოხდა.

მოგეხსენებათ, „რეალს", მოსკოვში წინა შვიდი სტუმრობის მსგავსად, ამჯერადაც, საუკეთესო შემთხვევაში, ერთი ქულა რომ წაეღო, ჩემპიონთა ლიგიდან თქვენს ჭირს წაიღებდა. ისე, ახლოსაც იყო ამასთან, რაკი ყოვლად საზიზღარი, ქვამამოყრილი მოედნის თუ სხვა რამ მიზეზთა გამო, „რეალის" თამაში დამაჯერებელი სულაც არ გახლდათ.

ისიც გეხსომებათ, რომ ამათი პირველი შეხვედრა „სანტიაგო ბერნაბეუზე", ფრედ, 2:2 დასრულდა და, კაცმა რომ თქვას, „ლოკომოტივს" მოგებაც შეეძლო. გუშინწინდელი თამაში მაშინდელთან სანახაობრივად ახლოსაც ვერ მივა, თუმცა რუსებს ამჯერადაც ჰქონდათ წარმატების შანსი. „ლოკომოტივს" სამი ერთი-მეორეზე უკეთესი მომენტი მიეცა, ერთხელ კინაღამ ფლავიო კონსეისაომ დალაშქრა საკუთარი კარი — ბურთი აცდა და იკერ კასილიასს დაურტყა.

25-ე წუთზე მარატ იზმაილოვმა პასი გაუჭრა მნგუნის, რომელმაც ქუსლით უკან დაუბრუნა, მაგრამ იზმაილოვს საბოლოო დარტყმა წაუხდა. წუთიც და, რუსლან პიმენოვის თექვსმეტიოდე მეტრიდან ძლიერად მოქნეული ოდნავ გადასცდა ხარიხას.

„რეალის" შეტევები უფრო მწირი იყო, სამაგიეროდ, უფრო ეფექტური გამოდგა და ესპანელებს ნერვები დაუწყნარა. ზინედინ ზიდანმა მოედნის შუაგულში ბურთი მოიხელთა და რაულს გადააწოდა, კაპიტანმა მარჯვენა ფლანგზე ფიგუ მოძებნა, მერე კი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თავში მოგახსენეთ.

შესვენების შემდეგ გუნდებმა თითქოს თამაშის ხალისი დაკარგეს. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: მთელი 32 წუთი არც ერთ, არც მეორე გუნდს კარში არ დაურტყამს. 77-ე წუთზე კი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა იზმაილოვი, ოღონდ კვლავ არ გაუმართლა, მისი დარტყმული ბურთი [illegible] მცველს მოხვდა და კუთხურზე გადაგორდა. საპასუხო გოლი ამ კუთხურსაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ნაწოდებული ბურთი იმ მატჩის ყველაზე აქტიურ ფეხბურთელს, ვადიმ ევსეევს მიუვიდა, თავი დაჰკრა, მაგრამ რუს და გერმანელ ქომაგთა საკალალოდ, იკერ კასილიასს პოზიცია სწორად ჰქონდა შერჩეული.

ამასობაში თანამედროვე უსწრაფესი კომუნიკაციებით მილანიდან ცნობა მოვიდა. ცნობა იუწყებოდა, რომ 80-ე წუთზე დორტმუნდელთა ჩეხმა იან კოლერმა „მილანს" გაუტანა, ანუ დარჩენილ ათ წუთში „რეალს" მაქსიმალური სიფრთხილე მართებდა.

სიფრთხილის გაზრდის სურვილმა მადრიდელებზე ცუდად იმოქმედა და ნერვიულობას უმატეს, რამაც ბოლო წუთებზე კინაღამ დაღუპა კიდეც. 87-ე წუთზე დმიტრი ლოსკოვმა ევსეევის კარგი პასი ვერ გამოიყენა — კარს გადაცილა, ბოლო წუთზე კი შეცვლაზე შესულმა ჟულიო სეზარმა ისეთი მომენტი გააფუჭა, ბავშვიც გაიტანდა — რვა მეტრიდან ისეთი ძალით დაარტყა, კასილიასი ამღები არ იყო, მაგრამ რაღა გინდა, ბურთი ტრიბუნაზე გაფრინდა.

„მოგება გვჭირდებოდა და მიზანს მივაღწიეთ — თქვა ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ — ჯერ კიდევ გუშინ, როცა სტადიონზე მოვედით და მოედნის მდგომარეობა ვნახეთ, მივხვდით, რომ თამაში გაჭირდებოდა. მაგრამ ასე თუ ისე, მოვიგეთ და კმაყოფილები ვართ, თუმცა რაღაც განსაკუთრებულ ზეიმს არ ვაპირებთ. ისეთი დიდი გუნდისთვის, როგორიც „რეალია", მეოთხედფინალში გასვლა ბევრს არაფერს ნიშნავს".

რობერტო კარლოსმა, რომელსაც მოსკოვში საერთოდ არ უთამაშია, რონალდოსთან ნაცნობობის წლები გაიხსენა და ვერ გაიხსენა, რონალდოს აქამდე ოდესმე თავით გატანის ბურთი. ხოლო ლუიშ ფიგუმ, მომავალ მეტოქეზე რომ ჰკითხეს, მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეყრა ისურვა.

# პორტილიოს რომ...

## დორტმუნდმა მოსკოვში წააგო

**მილანი 0:1 დორტმუნდი**

**0:1 კოლერი (80)**
**მილანი: აბიატი, შიმიჩი, ლაურსენი, ნესტა, მალდინი (კოსტაკურტა 46), გატუზო, რედონდო, ბროკი (პირლო 82), რუი კოშტა (ინძაგი 62), რივალდო, ტომასონი**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**დორტმუნდი: ლემანი, ევანილსონი, მეცელდერი, ვიორნსი, დედე (მადუნი 84), როიტერი (რიკენი 51), ფრინგსი, კელი, ევერტონი (ოდონკორი 74), კოლერი, ამოროზო**
**მწვრთნელი: მათიას ზამერი**
**გაფრთხილება: გატუზო, ევერტონი, ფრინგსი**
**მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)**
**60 000 მაყურებელი**

„დორტმუნდს" მილანში გატანილი იან კოლერის გოლი მეოთხედფინალში გასასვლელად არ ეყო. ერთი კი არა, ახმახ ჩეხს ათი გოლიც რომ გაეტანა, გერმანელები მაინც ჯგუფში ჩარჩებოდნენ. ჯობდა, თავის დროზე, საკუთარ „ვესტფალენშტადიონზე" რეალელ ხავიერ პორტილიოსთვის მეოთხე წამატებულ წუთზე გატანის საშუალება არ მიეცათ. მაშინ „რეალი" აღმოჩნდებოდა იმ დღეში, როგორშიც ახლა „დორტმუნდია". მათიას ზამერისთვის და მისი გუნდისთვის სეზონი, ფაქტობრივად, დასრულდა — ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნენ, ბუნდესლიგაშიც ჩემპიონობას ვეღარ შეწვდებიან.

იან კოლერმა გამარჯვების გოლი თამაშის ბოლოსკენ გაიტანა, თუმცა იქამდე კარგა ხნით ადრე მასპინძლებს შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. მეოთხე წუთზე მანუელ რუი კოშტამ საგოლე პოზიციაში გაიყვანა რივალდო, მაგრამ იენს ლემანთან პირისპირ შეყრილ ბრაზილიელს დარტყმა დაუგვიანდა და ბურთიც მეკარის ლუკმა გახდა.

„მილანი" ამ მომენტის მერეც კარგა ხანს აკონტროლებდა თამაშს, ყველაზე სახიფათო კი რუი კოშტა გახლდათ, რომელიც ჭკვიანურად ანაწილებდა პასებს და დორტმუნდელ მცველებს მუდმივად დაძაბულად ამყოფებდა. მალე მან ფლანგზე სახიფათოდ გაიყვანა ჯენარო გატუზო, რომლის განივი ჩაწოდებაც იმავ რივალდომ ვერ გამოიყენა.

სტუმრებმა პირველი სახიფათო იერიში მეთხუთმეტე წუთისთვის წამოიწყეს და ტორსტენ ფრინგსმა ოციოდე მეტრიდან მოჭრილი დარტყმით დაასრულა, თუმც ბურთი კრისტიან აბიატის ჩაბარდა. საერთოდ კი, პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა საიმედოდ დარაჯობდნენ იან კოლერსა და მარსიო ამოროზოს, რის გამოც პირველ ტაიმში, ფრინგსის ნახსენები დარტყმის გარდა, დორტმუნდელებს მილანელები სერიოზულად აღარ შეუწუხებიათ.

სამაგიეროდ, მასპინძლები კვლავაც ახლოს იყვნენ მიზანთან. რუი კოშტა ეშმაკურად დაუძვრა მეურვეს შიგ საჯარიმო მოედანში, მაგრამ ლემანმა თავგანწირული ნახტომით ისევ განმუხტა სიტუაცია.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ უშეცდომოდ მოთამაშე მალდინის ალესანდრო კოსტაკურტათი შეცვლა ინება, თუმც საერთო სურათი ამით არ შეცვლილა, „მილანი" კვლავ უტევდა და კრისტიანო ბროკი ოდნავ სწრაფად რომ გაქცეულიყო, რივალდოს ჩაწოდებულს მიუსწრებდა და ეგებ გოლსაც გამორჩენოდა.

რაკი მეორე ტაიმიც მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, მათიას ზამერმა შეცვლით [illegible] ვითარების გამოსწორე[illegible] — შტეფან როიტერის ნაცვლად ფორვარდი ლარს რიკენი შეუშვა. ამან გაამართლა, „დორტმუნდი" უკვე სამი თავდამსხმელით უტევდა და ანჩელოტის შეგირდებმა რამდენჯერმე ბოლო წამსლა შეძლეს კოლერისა და ამოროზოს იერიშების ჩაშლა.

ისე, გერმანელები ზურგის მოშიშვლების ხარჯზე შეტევის გაძლიერებისთვის შეიძლებოდა დასჯილიყვნენ კიდეც. რუი კოშტამ მოედნის ცენტრიდან გრძელი პასი მიაწოდა იონ დალ ტომასონს, დანიელმა თავის მხრივ საბოლოო დარტყმის პატივი გატუზოს დაუთმო, მან კი ძელს გაარტყა. ტომასონმა დასწრებაზე თამაში სცადა, მაგრამ ბურთი კრისტიან ვიორნსმა მოიხელთა, უსწრაფესი კონტრშეტევა წამოიწყო, რაც იმით დასრულდა, რომ აბიატიმ ამოროზოს დარტყმული „ცხრიანიდან" გამოიღო.

ბოლოს კი, თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე, როგორც იქნა, გოლი გავიდა. ზედ საჯარიმოს წინა ხაზზე რიკენმა კოლერს ბურთი გაუთამაშა, ჩეხი შეტრიალდა და ბოლო დარტყმით გაიტანა. მაგრამ როგორც იცით, ეს გოლი აღარაფერს წყვეტდა. ბოლოს დავძინოთ, რომ „მილანს" აქამდე ერთადერთხელ წააგო შინ გერმანულ გუნდთან — 1955 წელს „ზაარბრიუკენთან" 3:4 დამარცხდა.

**გიორგი დარჯანია**



სანამ პაოლო მალდინი მოედანზე იყო, იან კოლერი ვერაფერს გახდა

REUTERS მილანიდან

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 6 | 4 | 0 | 2 | 5:4 | 12 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| დორტმუნდი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:10 | 1 |

**„მილანი" და „რეალი" გავიდნენ მეოთხედფინალში**

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. D ჯგუფი




REUTERS ბაზელიდან

პაოლო მონტერომ (ბურთით) იბრძოლა, მაგრამ კრისტიან ხიმენესმა ერთი გოლი მაინც გაიტანა

# ყველამ ყველაფერი იცოდა

**ბაზელი 2:1 იუვენტუსი**

0:1 ტაკინარდი (10), 1:1 კანტალუპი (38), 2:1 ხიმენესი (90)

**ბაზელი:** ცუბერბიულერი, ჰაასი, ცვისიგი, მ. იაკინი, ატუბა, ბარბერისი (ჰუგელი 56), კანტალუპი, ჩიპერფილდი, ჰ. იაკინი (ვარელა 78), ხიმენესი, როსი (ტუმი 72)

**მწვრთნელი:** კრისტიან გროსი

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი (დელ პიერო 69), მონტერო, იულიანო, ბირინდელი, ტუდორი (პესოტო 46), ტაკინარდი, ძამბროტა, ძენონი, ნედვედი, ტრეზეგე (სალასი 30)

**მწვრთნელი:** მარჩელო ლიპი

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

30 501 მაყურებელი

**შვეიცარიის** ჩემპიონს მეოთხედფინალში გასასვლელად „იუვენტუსის" 4:0 დამარცხება სჭირდებოდა. თანაც ლა კორუნიაში „დეპორტივო" „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" ვერ უნდა მოეგო. საქმე ის გახლავთ, რომ „დეპორტივოს" გამარჯვების შემთხვევაში ჯგუფში მეორე ადგილზე გასულის ვინაობა უკვე სამი თანაბარქულიანი გუნდის შედეგების დათვლით უნდა გარკვეულიყო (რაც, ფაქტობრივად, მოხდა კიდეც) ასეთ პირობებში კი „ბაზელს" ტურინის გუნდი 80:0 რომ დაემარცხებინა, მაინც ვერ მოექცეოდა სამგუნდიანი მინი-ცხრილის სათავეში — ყველა ვარიანტში მეოთხედფინალისტი „იუვენტუსი" გახდებოდა.

თუმცა, ყველაფერ ამას სერიოზულად, ცხადია, არავინ აღიქვამდა, რადგან კრისტიან გროსის განსწავლული გუნდისადმი დიდი სიმპათიის მიუხედავად, იგი „ბებერი ქალბატონის" 4:0 დამმარცხებელი რომ არ იყო, იმთავითვე ნათელი გახლდათ. მეტიც, შეხვედრა „იუვენტუსს" რომ მოეგო, ვინ იცის, უფრო ბუნებრივიც ყოფილიყო, მაგრამ...

ისე, „იუვენტუსი" იგებდა. თავიდან, როდესაც ტურინელები საგანგებოდ მობილიზებულნი იყვნენ, ალესიო ტაკინარდიმ შორიდან დაარტყა და ლამაზი გოლი შეაგდო. მაგრამ, შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სტუმრებს ამის მეტი არაფერი უნდოდათ. არა, მათ არც ტემპი დაუწევიათ და არც თვალსაჩინო ყალთაბანდობაზე გადასულან, მაგრამ ის, რასაც ალბათ შეგვიძლია, „სპორტული ბრაზი" დავარქვათ, სადღაც გაქრა. ეს ის დროა (დაახლოებით მაინც), როდესაც ლა კორუნიაში „დეპორტივომ" ანგარიში გახსნა, ხოლო თავად „ბებერ ქალბატონს" დაიდ ტრეზეგე დაუშავდა. მერედა, ის დღე მარკ იულიანოსთვის გამოდგა კომიკური: ორჯერ ბურთი ყოვლად სასაცილოდ აეჭრა ფეხიდან — ორივეჯერ კუთხურზე გადაუვარდა, მეორედ კი ინალამ ავტოგოლი გამოუვიდა. გარდა ამისა, პირველი გოლის დროს თავით ბურთის საჯარიმოდან გამოგდების მაგივრად მარიო კანტალუპის ასისტენტობა გაუწია, მეორე გოლის დროს (მსაჯის წამატებულ წუთებში) კი კრისტიან ხიმენესი დაუძვრა და კუთხურს თავური მიაყოლა.

„ჩვენ მსოფლიო კლასის გუნდი დავამარცხეთ — განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ბაზელის" თავკაცმა კრისტიან გროსმა — [illegible] განვლილ ტურნირს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ოსტატობას მატჩიდან მატჩამდე ვხვეწდით. ტაქტიკური თვალსაზრისით ყველაზე იმედისმომცემი „მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრა გახლდათ. მან გვაჩვენა, რომ ჩვენ შეცდომებზე სწავლა შეგვიძლია. დღევანდელმა გამარჯვებამ კი მომავლის იმედი ჩაგვისახა. ფეხბურთელები და ქომაგები ფანტასტიკურნი იყვნენ, თუმცა განვითარებისთვის ახლა უკვე კლუბზე ზრუნვაა საჭირო. ამიერიდან ამოცანა ამ დონეზე სტაბილურად გამოსვლაა".

„ტაკინარდიმ ანგარიში რომ გახსნა, ყველაფერი ნათელი შეიქნა, ჩვენ მეოთხედფინალი გარანტირებული გვქონდა, ამიტომაც მოვდუნდით და „ბაზელს" მოქმედების საშუალება მივეცით. შვეიცარიელები ასეთი მამაცობისთვის მინდა შევაქო" — თქვა „იუვენტუსის" თავკაცმა მარჩელო ლიპიმ.

აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ექვსკვირიანი მკურნალობის შემდეგ მოედანს ალესანდრო დელ პიერო დაუბრუნდა. „ბაზელთან" მატჩი დაბრუნებისთვის მართლაც ჩინებული იყო — „იუვენტუსის" ვარსკვლავს გალაღების და ცალკეული გაბრწყინებების საშუალება მიეცა, ხოლო სულ ბოლოს, ზედ „ბაზელის" მეორე გოლის წინ, მან და მარსელო სალასმა ისეთი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომ ესთეტიკის თვალსაზრისით, დელ პიეროს საბოლოო დარტყმა ოდნავ უზუსტო რომ გამოდგა, გულდასაწყვეტიც კი იყო.

„ბაზელის" მეკარე პასკალ ცუბერბიულერი: „ამაზე მეტს ნამდვილად ვერავინ ვერაფერს მოგვთხოვდა. ცხადია, ვიცოდი, რომ მეოთხედფინალში ვერ გავიდოდით, მაგრამ იტალიის ჩემპიონთან გამარჯვება იმას ნამდვილად ნიშნავდა, რომ ჩვენ შინ, თითქმის დაუმარცხებელი გავხდით. „იუვე" „იუვეა", ბაზელში კი ყველაფერი ხდება. ჰოდა, ჩვენც თავდადებით ვითამაშეთ".

**ბაპუნა ძედია**



ავტომეგოლე მარკ ლინჩი თანაგუნდელთა დასამშვიდებელი შეიქნა

# მოსახდენი მოხდეს! გამოუშვით რეალი!
## ფერგიუსონს ერთს ორი ურჩევნია

**დეპორტივო 2:0 მანჩესტერი**

1:0 ვიქტორი (32), 2:0 ლინჩი (47ს.კ.)

**დეპორტივო:** ჰანი მალო, მანუელ პაბლო, ხესარი, ჟორჟე ანდრადე (ჯოროვიჩი 64), კაპდევილა, ვიქტორი (ექტორი 78), დუშერი, აკუნია, ფრანი (სკალონი 52), ვალერონი, ლუკე

**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა

**მანჩესტერი:** რიკარდო, ლინჩი, როჩი (სტიუარტი 46), ბლანი, ოში, პაფი, ფლეტჩერი, ფ. ნევილი, ბათი, გიგზი (რიჩარდსონი 72), ფორლანი (ვებერი 72)

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** აკუნია, ნევილი

**მსაჯი:** ვლადიმირ პრინაკი (სლოვაკეთი)

20 000 მაყურებელი

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ ახლა, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, მადრიდის „რეალთან" შეხვედრა სურს.

„რეალს" თუ შევხვდებით, ბედნიერი ვიქნები. ის ძალიან ძლიერი გუნდია, ფანტასტიკური ფეხბურთელები ჰყავს და ზურგს დიდი ისტორია უმაგრებს, მაგრამ მწამს, ამ გამოწვევის მიღება შეგვიძლია. ბოლო წლების განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" ევროპული ხარბიელზე თამაშის ოსტატობა ხომ მნიშვნელოვნად აიმაღლა. ერთი სიტყვით, ჩვენი და „რეალის" დაწყვილება შესაძლებელია და რაკი ასეა, რაც მოსახდენია, სჯობს ახლავე მოხდეს" — განაცხადა „დეპორტივო ლა კორუნიასთან" 0:2 წაგების შემდეგ შოტლანდიელმა, რითაც, ვფიქრობთ, თავისი დამოკიდებულება რამდენიმე წუთის წინ დამთავრებული მატჩისადმი სავსებით მკაფიოდ გამოხატა.

ნატვრაში კი ფერგიუსონი მართალია. თუ მის გუნდს „რეალთან" შეხვედრა უწერია, სჯობს ყველაფერი მალევე გაირკვეს. უძლიერესი მოწინააღმდეგის მოშორებაც ამთავითვეა უკეთესი და წაგებაც. მოიგებ და თავისუფალი სუნთქვით განაგრძობ გზას, ხოლო წააგებ და გეცოდინება, რომ ეროვნული პირველობისთვის ბრძოლაში ხელს არაფერი გიშლის. მერედა, მიუხედავად იმისა, რომ ფინალი მანჩესტერშია დანიშნული. „რეალთან" ორ თამაშში დაპირისპირება სჯობს ერთადერთ მატჩში დაპირისპირებას.

და მაინც „რიასორზე" დავბრუნდეთ, სადაც თუ ერთი მატჩისთვის გამოყოფილ ფულს არ ჩავთვლით, არც „დეპორტივოს" უნდოდა რამე და არც „მანჩესტერს". მასპინძლებმა იმთავითვე ხელთ იგდეს უპირატესობა და 2:0 მოიგეს. მეორე გოლი ახალგაზრდა მარკ ლინჩის უიღბლობის შედეგი გახლდათ: ვიქტორის ჩაკიდებული ბურთი მან თავით შეაგდო საკუთარ კარში.

„ეს უბრალო უიღბლობა იყო — განმარტა ფერგიუსონმა — მისი დადანაშაულება არ შეიძლება, სხვა გზა არ ჰქონდა. საერთოდ, მოწინააღმდეგის ძლიერ და გამოცდილ შემადგენლობასთან ჩვენს ახალგაზრდებს („მანჩესტერმა" უძლიერესი შემადგენლობა დაასვენა) სიმძლავრე აკლდათ. მეორე გოლიც ცუდ დროს გავუშვით, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ბიჭები მეტად და მეტად ულებდნენ თამაშს ალღოს. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ, მინდა გამოვარჩიო დარენ ფლეტჩერი („იუნაიტედის" შოტლანდიელი ახალგაზრდა), რომელმაც ტემპსაც აუბა მხარი და ოსტატობაც გვაჩვენა. ორ წელიწადში მისგან ბევრს უნდა ველოდოთ".

„დეპორტივოს" თავკაცი ხავიერ ირურეტა: „შვიდი ქულით შეჯიბრებას ვეთიშებით. ტურინში ჩატარებული მატჩის ბოლო წუთს რომ ვიხსენებ, ახლაც განვიცდი. დღეს კი ღია თამაში ვიხილეთ, რომელშიც მოგების აუცილებლობა გულს არ გვიჭამდა. მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედი" უძლიერესი შემადგენლობით არ იყო, თუმც მაინც თამაშობდნენ რაიან გიგზი, დიეგო ფორლანი და ფილ ნევილი. ასე რომ, კარგ შეხვედრას იმთავითვე ველოდით. თუ „მანჩესტერი" ნახევარფინალში გავა, მერე თასის მოპოვების საუკეთესო შანსი ექნება. „რეალთან" და „არსენალთან" ერთად ეს გუნდი უთუოდ ფავორიტია".

**ბაპუნა ძედია**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| იუვენტუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 7 |
| ბაზელი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | 7 |
| დეპორტივო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |

„მანჩესტერი" და „იუვენტუსი" გავიდნენ მეოთხედფინალში




REUTERS ლა კორუნიიდან

ქულები არც ერთ გუნდს არ სჭირდებოდა, მაგრამ მანუელ პაბლო (მარცხნივ) და ნიკი ბათი მაინც ჯიგრიანად გაისარჯნენ

# უეფას თასი 2002-2003. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

# ზღვა თასით დაილევა

ურიგო არ იქნება შარშანდელ მეოთხედფინალებს თუ გავიხსენებთ. თელ-ავივის „ჰაპოელმა“ კვიპროსში „მილანს“ 1:0 მოუგო და მერე „სან-სიროზე“ 0:2 დამარცხდა. მილანისვე „ინტერმა“ „ვალენსიას“ სტუმრად 1:0 სძლია, შინ კი 1:1-ს მიაღწია და ნახევარფინალში გავიდა. ჰოლანდიური დერბის, „ეინდჰოვენი“ — „ფეიენოორდის“ ორივე მატჩი 1:1 დასრულდა და თერთმეტმეტრიანების სერიაში როტერდამელებმა იმარჯვეს. „ლიბერეცი“ „ბორუსიას“ ჩეხეთში უგოლო ფრეზე დაუზავდა, დორტმუნდში კი „შავ-ყვითლებმა“ 4:0 გაანადგურეს მეტოქე. ფაქტობრივად, ნახევარფინალისტების ბედი საპასუხო მატჩებში გაირკვა. დღესაც გვარიანად დაძაბული შეხვედრები გაიმართება. სამ გუნდს, პირველი მატჩები რომ მოიგო, შედეგების შესანარჩუნებლად ოფლის ღვრა მოუწევს. საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი — რვა მეოთხედფინალისტიდან შვიდი, გარდა „ლაციოსი“, ზღვისპირა ქალაქებიდანაა. დღეს საღამოს გაირკვევა, ვინ დარჩება მშრალზე.

## ლივერპული — სელტიკი (1:1)





მაიკლ ოუენმა ჰენრიკ ლარსონი გენიოსად შერაცხა

ჟერარ ულიეს გუნდი გონს მოვიდა. პრემიერლიგის გასულ ტურში „ლივერპულმა“ „ტოტენჰემს“ მოუგო და გამოჩნდა, რომ ძველებურად შეუძლია მეტოქის დარბევა. „ლივერპული“ ალბათ, ვეღარ შეძლებს ჩემპიონობისოვის ბრძოლაში ჩაერთოს და აქცენტს უეფას თასზე გადაიტანს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის 2001 წლის მიღწევას აუცილებლად გაიმეორებს და თასს კვლავაც მოიგებს. ნახევარფინალში გასასვლელად მერსისაიდელებს „სელტიკთან“ უგოლო ფრეც ჰყოფნით. ჟერარ ულიეს შეგირდებს დაცვაში კარგად თამაში ნამდვილად შეუძლიათ, თუმცა ჰენრიკ ლარსონის დაჭერა ნებისმიერი გუნდის მცველებს გაუჭირდებათ. შვედმა ამ სეზონში უკვე 36 გოლის გატანა მოასწრო. საერთოდ კი, რაც შოტლანდიაში თამაშობს, 193 მოითვალა. „ის გენიოსია — თქვა ოუენმა — ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ გლაზგოში ჩვენც გაგვიტანა. „სელტიკი“ მოსაგებად ითამაშებს, შეგვიტევს და ეს კონტრშეტევების საშუალებას მოგვცემს.“



ელ-ჰაჯი დიუფს გლაზგოში ფურთხება ძვირი დაუჯდა

თავად ოუენმა ევროთასებზე 20 გოლი შეაგდო და თუ დღეს ერთს მაინც მიამატებს, იან რაშის რეკორდს მოხსნის.

გასულ უქმეებზე შოტლანდიის ლიგის თასის ფინალში „სელტიკი“ „რეინჯერსთან“ დამარცხდა. მანამდე სამი დღით ადრე კი „ლივერპულს“ შეხვდა. აღსანიშნავია, რომ მარტინ ონილის გუნდს დაღლა არც დასტყობია. განსაკუთრებით მეორე ტაიმში ჟინით მიაწვა „რეინჯერსს“ და მსაჯის მიერ არჩათვლილი გოლი რომ არა, ეგებ მოეგო კიდეც.

ჟერარ ულიე: „დიდი ბრძოლა გაიმართება. მცირედი შეცდომა შეიძლება ორივე გუნდს ძვირად დაუჯდეს, ამიტომ მაქსიმალური ყურადღება გვმართებს.“

საამტაჩოდ, მასპინძლებს ყველა მწყობრში ჰყავთ, თუმცა სენეგალელი ელჰაჯი დიუფი გლაზგოში ჩადენილი უმსგავსო საქციელის გამო უეფას დისციპლინარებმა დასაჯეს. დიუფი ევროთასებზე ორ მატჩს გამოტოვებს, კლუბმა კი ორი კვირის ხელფასი დაუქვითა. თავის მხრივ უეფამ „სელტიკსაც“ 4 ათასი დოლარი ააფცქვნა, არც თქვენი გულშემატკივრები არიან მთლად ანგელოზებიო. იუფის ორი კვირის ხელფასი შოტლანდიის ერთ-ერთი საქველმოქმედო ფონდში გადარიცხეს. სენეგალელისგან მიფურთხებული „სელტიკის“ ქომაგი კი დღეს „ენფილდზე“ იქნება. მთავარ ლოჟაში მოკალათდება და დიუფისგან ბოდიშს მოისმენს, თან „ლივერპულის“ მაისურითაც დაასაჩუქრებენ, რომელსაც ყველა ლივერპულელი ფეხბურთელის ავტოგრაფი დაამშვენებს. „სელტიკს“ კი ტრავმის გამო კრის [illegible] დაეხმარება.

## ბეშიქთაში — ლაციო (0:1)

ეს მატჩი „ლაციოს“ გამოუცხადებლობის გამო შეიძლება ჩაშლილიყო. რომაელები ომმა დააშინა და სტამბოლში გამგზავრებაზე თავიდან ყოყმანობდნენ, თუმცა საბოლოოდ წასვლა გადაწყვიტეს.

რობერტო მანჩინი: „ჩვენ პროფესიონალები ვართ და თურქეთში აუცილებლად ჩავალთ. ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და ასეთ დროს გადაწყვეტილების მიღება ძნელია. რამდენიმე წლის წინ ჩვენ იუგოსლავიაში მაშინ ვითამაშეთ, როცა სტადიონიდან 150 კილომეტრში ომი იყო გაჩაღებული. მერე აშშ-ში მომხდარი ტერაქტის დროსაც მოგვიწია თამაშმა. გასაკვირი არ არის, რომ ფეხბურთელები შექმნილი ვითარებით შეშფოთებულნი არიან. სტამბოლში მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრებთ.“

„ლაციომ“ ბოლო ტურში „ემპოლი“ დაამარცხა და რობერტო მანჩინი თავის შეგირდების გარჯით კმაყოფილია. თუ იტალიის ჩემპიონატის ცხრილს ჩახედავთ, ნახავთ, რომ რომაელები სტუმრად არ დამარცხებულან. „ლაციოს“ კონტრშეტევებზე თამაში უკეთ ეხერხება. სწორედ ამის იმედი აქვს კლაუდიო ლოპესს: „ჩვენ ამჟამად კარგ ფორმაში ვართ, თუმცა „ბეშიქთაში“ რომ ძლიერი გუნდია, ეს პირველ მატჩშიც ვნახეთ. ვიცი, სტამბოლში თამაში რთულია, მაგრამ თავს არ დავზოგავთ.“ რობერტო მანჩინის ყველა ძირითადი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს, თან გამოჯანმრთელებული სიმონე ინძაგისა ეიმედება, რომლის გოლმაც რომში „ლაციოს“ მოაგებინა.



„ლაციო“ კვლავაც სიმონე ინძაგის იმედადაა

„ბეშიქთაში“ უკვე ზეიმობს. ზეიმობს ასი წლისთავს და თავი უკვე უეფას თასის მფლობელი ჰგონია. კლუბის ბოსები ფეხბურთელებს ზღაპრულ პრემიებს ჰპირდებიან, „ლაციოს“ გაგდებას თუ შეძლებენ. მირჩა ლუჩესკუმ რომაელების განზრახვა, სტამბოლში გამგზავრებისა გვეშინიაო, რომ გაიგო, თქვა, ფსიქოლოგიურად ჩვენი წახდენა სურთო. მსგავსი ფაქტი 1998 წელსაც მომხდარა. „გალათასარაისთან“ სათამაშოდ „იუვენტუსი“ სტამბოლში ჩასვლას არ აპირებდა.

მირჩა ლუჩესკუ: „ვიცი, რომ „ლაციო“ კლასიკური ტაქტიკით კონტრშეტევებზე თამაშის აწყობას შეეცდება. რომაელები განსაკუთრებით კუთხურების ჩამოწოდებისას, თავით თამაშში არიან ძლიერნი. საბედნიეროდ, პირველ მატჩში მეტ-ნაკლებად მათი გაუვნებელყოფა შევძელით. კლაუდიო ლოპესს და ენრიკო კიეზას მაქსიმალური ყურადღება სჭირდებათ.“

თავის დროზე, როცა მირჩა ლუჩესკუ „გალათასარაის“ მწვრთნელი იყო, ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლაციო“ შინ დაუმარცხებია. ასე რომ, რუმინელ სპეციალისტს ახლა უკვე სხვა გუნდით მოუწევს რომაელთა ძლევა.

## პანათინაიკოსი — პორტუ (1:0)



„პანათინაიკოსმა“ პორტუში მოიგო და გიჟმაჟი ბერძენი ქომაგებით გამხნევებულნი მეტოქის საბოლოოდ მოხრჩობას ელოდებიან

ბერძნებმა პირველ მატჩში ბევრისთვის მოულოდნელად შეძლეს ესოდენ კარგად მოთამაშე „პორტუს“ დამარცხება, ათენში კი პორტუგალიელებს ჯოჯოხეთი ელით. ბერძენი გულშემატკივრების რია-რიას არაერთი მეტოქე წაუხდენია.

ორივე გუნდი თავისი ჩემპიონატების ლიდერია და ბოლო შეხვედრებშიც იმარჯვეს. „ჩვენ ბრწყინვალე შანსი გვაქვს ნახევარფინალში გასასვლელად — თქვა სერხიო მარქარიანმა — შევეცდებით, იგი გამოვიყენოთ. „პორტუსთან“ სრული მობილიზება დაგვჭირდება პირველ მატჩში მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად და, ვფიქრობ, ჩემი ბიჭები ამას შეძლებენ.“ ბერძენთა პრობლემა ის არის, რომ არ ეყოლებათ ნახევარმცველი ანგელოს ბასინასი, რომელსაც მუხლის ტრავმა აწუხებს და ასევე პანტელის კონსტანდინიდისი.

თავის მხრივ, პორტუგალიელებს ყველა ჯანზე ჰყავთ და სწრაფი გოლის გატანას შეეცდებიან, რათა შემდეგ სათავისოდ მიმართონ მატჩის ხასიათი. „პანათინაიკოსის“ დამარცხება ერთობ რთული საქმეა, თანაც ათენში, თუმცა თუ იგივე ბერძნებმა პორტუში შეძლეს...

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბოავიშტა — მალაგა (0:1)

„ბოავიშტა“ გაცილებით უფრო გამოცდილია ევროთასებზე, ვიდრე „მალაგა“. მას ხომ ჩემპიონთა ლიგაშიც უთამაშია და დიდი გუნდებიც გაუმწარებია. „მალაგამ“ კი პირველად შეტოპა ასე შორს ევროთასებზე და, ცხადია, შინ მოპოვებულ გამარჯვების კბილებით შენარჩუნებას შეეცდება. ესპანელთა მწვრთნელმა ბრძანა, კარგი იქნება, პირველი გოლი ჩვენ გავიტანოთ, უფრო მშვიდად ვიქნები, თუმც გარისკვას და უკანმოუხედავად შეტევაში წასვლას არ ვაპირებო. შარშანდელ უეფას თასზე მეოთხედფინალში მხოლოდ ერთი ესპანური გუნდი, „ვალენსია“ იყო და ისიც „ინტერმა“ გააძევა. ამჯერად „მალაგას“ მოუწევს იგივე ბარიერის გადალახვა და ესპანეთის პრესტიჟის დაცვა. სტუმრებს ურუგვაელი მცველი, მარკო რომერო ჰყავთ დისკვალიფიცირებული. „ბოავიშტას“ დააკლდებიან ასევე მცველები — რუი ოსკარი, ფერნანდო ავალოსი და ბოლივიელი ლეგიონერი ერვინ სანჩესი. სამაგიეროდ, გუნდს დაუბრუნდნენ ბრაზილიელები, ფორვარდი ელპიდიუ სილვა და ნახევარმცველი ფელიპე ასუნსაო.

# რუუდ გულიტის ტელეშოუ

## აქეთ მანდელა, იქით ბანდერასი
## ყოფილი ეროტიკოსის აღსარება



*რუუდ გულიტი მოედანზე სიამოვნების მომგვრელ პასებს რომ არიგებდა, ის დრო პატრონს ჩაბარდა. ლონდონის „ჩელსიში" მწვრთნელის ხელობას ფეხბურთელის მაისურით ეზიარა. „არისტოკრატებიდან" ახსნა-განმარტების გარეშე გაშვებულმა ჰოლანდიელმა „ნიუკასლი" ჩაიბარა და ფანობას „ეროტიკულ ფეხბურთს" შეპირდა. 1999 წლის სექტემბერში „ნიუკასლის" ბოსებს ექსპერიმენტები მოსწყინდათ და ეროტიკოსი მწვრთნელის ნაცვლად, ბობი რობსონი მიიწვიეს. გულიტი მწვრთნელობას დროებით შეეშვა და ერთ-ერთ ჰოლანდიურ ტელეკომპანიაში შოუს წამყვანია. მისი საქმეა რესპონდენტების მოძებნა და ინტერვიუების კეთება, თუმცა ამჯერად თავადაა კითხვებზე მოპასუხე.*

**— რამდენად საინტერესო იყო თქვენთვის უჰოლანდიო მსოფლიოს ჩემპიონატი?**

— ცხადია, ჰოლანდიის ნაკრების ქომაგთათვის, მათ შორის ჩემთვისაც, ამ მხრივ ჩემპიონატი, ფაქტობრივად, გაუფასურდა. ასეთ შემთხვევაში მას სულ სხვა თვალით და გრძნობით უყურებ, თუმცა იმას არ ვამტკიცებ, რომ აუცილებლად უნდა ვყოფილიყავით ფინალურ ეტაპზე. ჰოლანდიის არყოფნაში ფავორიტებად მიჩნეულთა დონე მაინტერესებდა. მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ჩემზე არავის მოუხდენია.

**— ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელობა რომ შემოგთავაზონ?**

— თუ შემომთავაზებენ, სიამოვნებით დავთანხმდები. ეროვნული ნაკრების თავკაცობა ხომ ნებისმიერი მწვრთნელისთვის უდიდესი პატივია.

**— გუს ჰიდინკის მსგავსად უცხო ქვეყანაში მუშაობაზე არ გიფიქრიათ?**

— არა. ალბათ უფრო იმიტომ, რომ სახლიდან შორს წასვლა მიჭირს, საამისოდ მზად არ ვარ.

**— კორეაში ჰიდინკის საქმიანობას როგორ შეაფასებთ?**

— ის ბუნებით ძლიერი პიროვნებაა, მოთამაშეებთან ურთიერთობაში თითქმის უნაკლო. ჩემი აზრით, მწვრთნელისთვის ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ტაქტიკური მრავალფეროვნება. ჰიდინკი თავმდაბალი კაცია და არც ისეთი მკაცრი, როგორი გამომეტყველებაც აქვს. საოცარია, რომ კორეელებისგან მცირე დროში სერიოზული გუნდი შექმნა. მან ზუსტად იცის, რას აკეთებს და ამიტომაც მიაღწია შედეგს.

**— თქვენ ნაადრევად ხომ არ მოისურვეთ მწვრთნელობა?**

— დარწმუნებული ვარ, რომ არა. ეს ნაბიჯი ჩემი ცხოვრების იმ ეტაპზე გადავდგი, როცა საქმე ასარჩევად მქონდა, ისევე როგორც ახლა. ძალიან მომწონს ის, რასაც ვაკეთებ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვმოგზაურობ. ჩემი რესპონდენტები იყვნენ ნელსონ მანდელა, ვიქტორია ბექემი, ბორის ბეკერი, ანტონიო ბანდერასი. ვცდილობ, ხალხს ისინი საინტერესო კუთხით გავაცნო. გამოცდილებით ვიცი, რომ ჟურნალისტებსა და პოპულარულ ადამიანებს შორის ყოველთვის იყო რაღაც უხილავი ზღუდე. თავად ოდესღაც პოპულარული ვიყავი და რესპონდენტები ალბათ ამის გამო ჩემთან უფრო გულახდილნი არიან.

**— თქვენი ინგლისური კარიერა შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს?**

— აუცილებლად. თასის ფინალში ორჯერ გავედით, განა ეს შედეგი არ არის? მე ვამაყობ ამით. ამჟამად მრავალი კლუბი მთავაზობს სამუშაოს, მაგრამ ტელევიზიასთან კონტრაქტის დასრულებამდე სადმე წასვლას არ ვაპირებ.

**— ახლაც მწარედ გახსენდებათ „ჩელსის" დატოვება?**

— არა, უკვე გაიარა, თუმც ერთი წლის განმავლობაში გვარიანად დავიტანჯე. ლონდონიდან უფრო ნაწყენი წავედი, ვიდრე ნიუკასლიდან. ლონდონში ძალიან დავუახლოვდი იმ ადამიანებს, რომლებთანაც ვმუშაობდი. თავისუფალ დროს ხშირად ერთად კატარებდით, გოლფს ვთამაშობდით, ვერთობოდით, მერე კი მათ ისეთი კვანტი დამიდეს, ისე გამომაპანღურეს, რომ გაოგნებული დავრჩი.

**— თქვენს შემცვლელ ჯანლუკა ვიალისაც იგივე ბედი ეწია...**

— არ გამკვირვებია, რადგან „ჩელსიში" ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მე კარგი გუნდი მყავდა და გამათავისუფლეს. ახლა არ ვიცი, ლონდონში როგორაა საქმე, მაგრამ ვფიქრობ, რომ თუ იქ მწვრთნელმა ცუდი შედეგი აჩვენა, უეჭველად ახალ, ხუთწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. მსგავსი მხოლოდ „ჩელსიში" ხდება.

**— ინგლისში ბევრი სპეციალისტი ალმაცერად უყურებდა თქვენ მწვრთნელობას.**

— ხშირად დავდიოდი ჰოლანდიაში და ამის გამო გამუდმებით მაკრიტიკებდნენ, მიზეზი კი არავის უკითხავს. დედა ავადმყოფობდა და როგორც ერთადერთ ვაჟს, მის გვერდით ყოფნა მსურდა. ამ დროს კი ლონდონური პრესა მხოლოდ ფაქტს ხედავდა — „ის ისევ ჰოლანდიაშია!" მე ეს მწყინდა და არცაა გასაკვირი, თუმცა დღემდე ზოგიერთ ჩელსელთან კვლავაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

**— ახლა გაცილებით უკეთ გრძნობთ თავს, ვიდრე ლონდონში?**

— ასე არ ვიტყოდი, მხოლოდ პრობლემები მომაკლდა.

'2003

### ლიბერტადორესის თასი 2003

**I ჯგუფი. IV ტური**

**ემელეკი (ეკვადორი) 1:5 ლიბერტადი (პარაგვაი)**

1:0 კუერო (4), 1:1 ბონეტი (38), 1:2, 1:3 პედრინიო (45, 60), 1:4 სერჟიო (79), 1:5 ბონეტი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო კალი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| ლიბერტადი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:7 | 4 |
| ემელეკი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:12 | 4 |
| რივერ პლეიტი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |

**II ჯგუფი. IV ტური**

**უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) 2:1 სერო პორტენო (პარაგვაი)**

1:0 გონიო (54), 2:0 კამპოსი (70), 2:1 ნუნიესი (81)

**პაისანდუ (ბრაზილია) 2:1 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

1:0 რობსონი (14), 2:0 ჟორჟინიო (33), 2:1 მოიზელა (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაისანდუ | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| სერო პორტენო | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| სპორტინგ კრისტალი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| უნივერსიდად კათოლიკა | 4 | 1 | 0 | 3 | 5:8 | 3 |

**V ჯგუფი. IV ტური**

**პენიაროლი (ურუგვაი) 4:0 ბოლივარი (ბოლივია)**

1:0 სედრესი (30), 2:0, 3:0 კანობიო (39, 58), 4:0 სედრესი (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენიაროლი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| გრემიო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 |
| უნამი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ბოლივარი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:9 | 3 |

სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

### საფრანგეთი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**

**გენგამი 1:0 ლილი**

1:0 ბარდონი (32)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 30 | 14 | 10 | 6 | 46:24 | 52 |
| მარსელი | 30 | 15 | 7 | 8 | 32:26 | 52 |
| ლიონი | 30 | 14 | 9 | 7 | 52:35 | 51 |
| ბორდო | 29 | 14 | 7 | 8 | 41:28 | 49 |
| ნანტი | 30 | 14 | 6 | 10 | 34:29 | 48 |
| ნიცა | 30 | 11 | 13 | 6 | 33:23 | 46 |
| სოშო | 30 | 12 | 10 | 8 | 32:27 | 46 |
| პსჟ | 30 | 12 | 9 | 9 | 42:30 | 45 |
| ოსერი | 29 | 12 | 8 | 9 | 28:26 | 44 |
| ლანსი | 30 | 10 | 13 | 7 | 35:27 | 43 |
| ბასტია | 30 | 12 | 7 | 11 | 32:33 | 43 |
| გენგამი | 30 | 12 | 4 | 14 | 39:44 | 40 |
| სტრასბური | 29 | 9 | 9 | 11 | 31:39 | 36 |
| ლე ავრი | 30 | 9 | 8 | 13 | 23:33 | 35 |
| რენი | 30 | 8 | 8 | 14 | 24:33 | 32 |
| ლილი | 30 | 8 | 8 | 14 | 25:40 | 32 |
| მონპელიე | 30 | 7 | 9 | 14 | 28:40 | 30 |
| სედანი | 29 | 8 | 6 | 15 | 30:44 | 30 |
| აიაჩო | 30 | 6 | 11 | 13 | 22:36 | 29 |
| ტრუა | 30 | 6 | 8 | 16 | 20:32 | 26 |

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**

**ამიენი 2:0 კრეტეი**

**გენიონი 2:2 შატორუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 28 | 16 | 7 | 5 | 42:18 | 55 |
| მეცი | 29 | 15 | 8 | 6 | 39:23 | 53 |
| შატორუ | 29 | 14 | 8 | 7 | 35:25 | 50 |
| ლე მანი | 29 | 13 | 10 | 6 | 35:28 | 49 |
| ლორიანი | 28 | 13 | 8 | 7 | 33:25 | 47 |
| ლავალი | 29 | 12 | 6 | 11 | 31:31 | 42 |
| გრენობლი | 29 | 9 | 11 | 9 | 30:20 | 38 |
| ამიენი | 29 | 10 | 8 | 11 | 22:25 | 38 |
| კლერმონი | [illegible] | [illegible] | [illegible] | 13 | 34:40 | 38 |
| კაენი | 29 | 8 | 12 | 9 | 33:33 | 36 |
| ვალანსი | 29 | 9 | 8 | 12 | 30:33 | 35 |
| ნიორი | 29 | 9 | 8 | 12 | 29:33 | 35 |
| სენტ ეტიენი | 28 | 7 | 12 | 9 | 26:26 | 33 |
| გენიონი | 28 | 8 | 9 | 11 | 25:30 | 33 |
| ნანსი | 28 | 8 | 9 | 11 | 26:35 | 33 |
| კრეტეი | 28 | 6 | 13 | 9 | 29:32 | 31 |
| ისტრი | 29 | 7 | 10 | 12 | 22:42 | 31 |
| ვასკეალი | 28 | 5 | 15 | 8 | 17:22 | 30 |
| ბოვე | 29 | 7 | 8 | 14 | 15:24 | 29 |
| რეიმსი | 28 | 5 | 13 | 10 | 22:30 | 28 |

### ინგლისი

**პირველი დივიზიონი**
**XXXVIII ტური**

**ბრედფორდი 1:1 შეფილდ უენსდი**

1:0 გრეი (32), 1:1 კრეინი (82)

**ბარნსლი 1:2 ლესტერი**

0:1 დიკოვი (79), 0:2 ბენჟამინი (83), 1:2 სინკლერი (90)

**იფსვიჩი 3:1 რედინგი**

1:0 გაარდსო (1), 1:1 ფორსტერი (16), 2:1 ბოლანდი (31), 3:1 მეჯილტონი (70)

**მილუოლი 0:2 ნორვიჩი**

0:1 მაკეი (8), 0:2 ები (38)

**პრესტონი 5:0 უოლსოლი**

1:0 ალექსანდერი (14), 2:0 ეტუჰუ (28), 3:0 კროსველი (63), 4:0, 5:0 კუმანტარაკისი (73, 85)

**როტერჰემი 0:1 გრიმსბი**

0:1 ოსტერი (90)

**შეფილდ იუნ. 2:1 ბრაიტონი**

1:0 უინდასი (5), 1:1 კარპენტერი (14), 2:1 ბრაუნი (34)

**უოტფორდი 0:1 ჯილინგემი**

0:1 შოუ (65)

**კრისტალ პალასი 0:1 უიმბლდონი**

0:1 ანდერსენი (45)

**ვულვერჰემპტონი 0:0 სტოკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 37 | 23 | 10 | 4 | 77:36 | 79 |
| ლესტერი | 38 | 22 | 11 | 5 | 62:34 | 77 |
| შეფილდი | 36 | 19 | 8 | 9 | 57:39 | 65 |
| რედინგი | 38 | 20 | 4 | 14 | 48:38 | 64 |
| ვულვზი | 38 | 16 | 12 | 10 | 62:38 | 60 |
| ნოტინგემი | 36 | 16 | 11 | 9 | 62:37 | 59 |
| იფსვიჩი | 38 | 15 | 12 | 11 | 59:47 | 57 |
| ნორვიჩი | 37 | 15 | 10 | 12 | 50:37 | 55 |
| უიმბლდონი | 37 | 14 | 11 | 12 | 62:60 | 53 |
| ჯილინგემი | 37 | 14 | 11 | 12 | 50:50 | 53 |
| პრესტონი | 37 | 13 | 11 | 13 | 59:56 | 50 |
| როტერჰემი | 38 | 13 | 10 | 15 | 53:52 | 49 |
| ბარნსლი | 36 | 13 | 9 | 14 | 53:65 | 48 |
| კრ. პალასი | 37 | 11 | 14 | 12 | 47:43 | 47 |
| ქოვენთრი | 37 | 12 | 11 | 14 | 41:46 | 47 |
| უოტფორდი | 38 | 13 | 8 | 17 | 39:55 | 47 |
| მილუოლი | 38 | 13 | 8 | 17 | 42:59 | 47 |
| ბრედფორდი | 37 | 12 | 10 | 15 | 45:57 | 46 |
| უოლსოლი | 37 | 12 | 7 | 18 | 49:59 | 43 |
| დერბი | 37 | 12 | 7 | 18 | 46:57 | 43 |
| გრიმსბი | 38 | 9 | 9 | 20 | 43:72 | 36 |
| ბრაიტონი | 38 | 9 | 8 | 21 | 38:57 | 35 |
| სტოკი | 38 | 7 | 13 | 18 | 36:63 | 34 |
| უენსდი | 38 | 6 | 13 | 19 | 38:61 | 31 |

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა**
**გადადებული მატჩი**

**რაპიდი 0:0 ადმირა ვაკერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №146 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

*ზაზა ფაჩულიამ სტამბოლის „ულქერში“ ფრთები ისე ვერ გაშალა, როგორც გეგმავდა. ნბა-ს დრაფტში მონაწილეობაზე შარშან საქართველოს ნაკრების ცენტრმა იმ მიზეზით თქვა უარი, რომ იმედი ჰქონდა, „ულქერში“ საკმარისად ათამაშებდნენ, გამოცდილებას გაიმდიდრებდა და ამერიკაში უფრო მომზადებული ჩავიდოდა. ზაზას ჩანაფიქრი არ ახდა, „ულქერში“ აქეთ მოვიდა გამოცდილი ამერიკელი ცენტრი ჯოზეფ ბლეირი და ფაჩულია სათადარიგოთა სკამს მიაჯაჭვა. თუმც უთამაშებლობა მაინც არ ამცირებდეს ქართველის ოკეანგაღმა წასვლის პერსპექტივას. ფაჩულია შეყვანილია სკაუტთა მიერ შედგენილ ნბა-სთვის მისაღებ ევროპელთა ოცეულში, მაიამელ ვლადიმერ სტეფანიას თქმით კი მისი გუნდის დამკვირვებლები უკვე იყვნენ თურქეთში ფაჩულიას სანახავად და კმაყოფილებიც დარჩნენ. ზაზასთან საუბარიც ამ თემით დავიწყეთ...*

# ზაზა ფაჩულია:
# სტეფანიას აზერბაიჯანს და ბულგარეთს ვერ მოსთხოვ

— მე არავინ მინახავს, ისე კი გავიგე, რომ „მაიამის“ სკაუტები ყოფილან ჩამოსული. ასეთია წესი, დამკვირვებლები ისე ჩადიან კალათბურთელის სანახავად, რომ თავად მოთამაშემ არაფერი იცის. ფსიქოლოგიური მომენტია, როცა კალათბურთელმა იცის, რომ უთვალთვალებენ, ცდილობს, რაღაც განსაკუთრებული გააკეთოს და ხშირად ამლაშებს ხოლმე. მაიამელებიც ისე ჩამოვიდნენ და წავიდნენ, არაფერი გამიგია.

**— სკაუტებმა „ულქერის“ თამაშებზე განახეს?**

— ალბათ, ოფიციალურ შეხვედრებში მნახავდნენ, თორემ, ვარჯიშზე ამ ბოლო დროს აღარავინ მოსულა. არ ვიცი, კონკრეტულად რომელ მატჩებს დაესწრნენ, მაგრამ რაც კი ბოლო ხანებში მითამაშია, ჩემი აზრით, ურიგოდ არ გავრჯილვარ. მართალია, მცირე დროით გავდივარ მოედანზე, მაგრამ ჩემს გასაკეთებელს ვაკეთებ.

**— ალბათ აღარც გიკვირს, დიდი ხნით რომ არ გათამაშებენ, ჯოზეფ ბლეირი ხომ ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშე გახდა...**

— უკვე შევეგუე, რომ ბლერს კონკურენციას ვერ გავუწევ, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე და არც მიკვირს, თადარიგში ყოფნა რომ მიწევს. ვცდილობ, ყაირათიანად გამოვიყენო ის მცირე სათამაშო წუთები, თითქმის ყოველ მატჩში რომ მეძლევა და მგონი, კარგადაც გამომდის.

**— თურქეთის თასის ოთხთა ფინალში გახვედით. შენც მოგიწია სათასო მატჩებში თამაში, კმაყოფილი დარჩი?**

— ორი მატჩი ვითამაშეთ, ჯერ „ტეკენი“ დავამარცხეთ, შემდეგ „ბეშიქთაში“. პირველ შეხვედრაში 5 წუთში 2 ქულა ჩავაგდე, „ბეშიქთაშთან“ კი უფრო შედეგიანი ვიყავი. 15 წუთი მომიწია მოედანზე ყოფნამ და საბოლოოდ 10 ქულა, 6 მოხსნა და 2 დაფარება დამიგროვდა. სხვათა შორის, „ბეშიქთაშს“ ჩემპიონატის ბოლო ტურშიც შევხვდით და 6 წუთში 6 ქულა მოვაგროვე.

**— მოტეხილი თითი საბოლოოდ მოიშუშე?**

— ძვალი ბოლომდე არაა შეხორცებული, ორი თითი ერთმანეთზე მაქვს გადახვეული და ასე ვთამაშობ. ამ დღეებში სურათს გადამიღებენ და საბოლოო პასუხს გავიგებ.

**— ვიცით, ნბა-ში წასვლა შენი ოცნებაა. შარშან ბოლოსლა თქვი უარი დრაფტში მონაწილეობაზე, წლეულს როგორ იქნება?**

— უკვე გადავწყვიტე მომავალ დრაფტზე დავდგები. საბუთებს ჩემი მენეჯერი მოამზადებს და მალე შეიტანს შესაბამის სტრუქტურაში.

**— როგორ გგონია, ნაჩქარევი გადაწყვეტილება ხომ არ არის? შენ ხომ იმიტომ იუარე შარშანდელ დრაფტში მონაწილეობა, რომ „ულქერში“ კლასი აგემაღლებინა, თუმც ფაქტობრივად არ გიწევს თურქულ კლუბში თამაში.**

— თუ არ მოვუმატე, არც არაფერი დამკლებია. ისე კი ვფიქრობ, სათამაშო კლასი ამიმაღლდა, გამოცდილებაზე კი რა მოგახსენოთ... თანაც ამერიკელები უკვე კარგად მიცნობენ, შარშან ხომ არაერთ ნბა-ს კლუბთან ვივარჯიშე დრაფტის წინ. თუ ამერიკელებზე წლევანდელ ვარჯიშებზეც ისეთივე შთაბეჭდილება მოვახდინე როგორც შარშან, ვფიქრობ, დრაფტის პირველ ოცეულში ამირჩევს ვინმე.

**— გამოდის, ამ სეზონს შენთვის ფუჭად ჩაუვლია...**

— შესაძლოა. ევროპაში ხომ იმ იმედით, გავიზრდებოდი დავრჩი, რომ მეგონა, ვითამაშებდი და შესაბამისად დრაფტზეც უფრო მაღალ ნომრად ამირჩევდნენ.

**— თურქები რა თვალით შეხედავენ შენს ამ ნაბიჯს? მათ ხომ თავისიანად მიაჩნიხარ და, როგორც ამბობენ, შენზე დიდ იმედებსაც ამყარებენ.**

— ულქერის უფროსებს, რა თქმა უნდა, არ სურთ გუნდიდან ჩემი წასვლა, მაგრამ ვერაფრით შემიშლიან ხელს. სეზონის ბოლოს კონტრაქტი მიმთავრდება და ძალიანაც რომ ეცადონ, ველარ დამაკავებენ. ვიცი, თურქები ჯიბრში ჩამიდგებიან და ამერიკაში გასამგზავრებლად ხელს არ შემიწყობენ. ამიტომაც დამთავრდება თუ არა სეზონი, თბილისში ჩამოვალ და მანდ გავაკეთებ ამერიკულ ვიზას.

**— ღმერთმა ქნას და ეგ საქმე თუ გამოვიდა, ნბა-ში მესამე ქართველი იქნები. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ მეორეს მხრივ, შესაძლოა საქართველოს ნაკრებისთვის გამოდგეს ცუდი, ამერიკელები ხომ შუა სეზონში არავის უშვებენ.**

— მაგ მიზეზით ნბა-ში თამაშზე უარის თქმა, სისულელეა. გეთანხმები, რომ სეზონის მსვლელობისას ნბა-დან არავის უშვებენ და ამაში ვერც გაამტყუნებ ამერიკელებს. ამ ამბავს თითქმის ყველა ქვეყანაში არიან შეგუებულნი და პრეტენზიას არავინ გამოთქვამს. ძნელია, ამერიკაში მოთამაშე კალათბურთელს ნაკრებში ჩამოსვლა მოსთხოვო, როცა ევროპის შესარჩევის შესარჩევ ტურნირში გამოდიხარ. მესმის, ფინალურ ეტაპზე გასასვლელ გადამწყვეტ მატჩებში გამოიძახო ნბა-ში მოთამაშე კალათბურთელი, მაგრამ არც ამას აკეთებენ ევროპის ქვეყნები. ამიტომაც ვლადიმერ სტეფანიასი კარგად მესმის, როცა აზერბაიჯანთან, ბულგარეთთან და სხვა ნაკრებებთან სათამაშოდ არ მოდის. ვფიქრობ, ეს არც უნდა მოვთხოვოთ ვოვას.

**— აბა, სხვანაირად ვერ გავდივართ ფინალურ ეტაპზე...**

— ფინალურ ეტაპზე გასვლა არა, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა ამერიკაში მოთამაშე კალათბურთელების გარეშეც შეიძლება. ახლა, მგონი, რაღაც შეიცვალა და პირდაპირ შესარჩევ ტურნირში ვერთვებით. გადამწყვეტი მატჩები რომ მოატანს, მაშინ თუ იუარებს ვინმე ნაკრებში ჩამოსვლაზე, ეს უკვე სულ სხვა საქმეა.

**ირაკლი ბერტაია**



ზაზა ფაჩულია (№ 7) „ულქერიდან“ ნბა-ს უმიზნებს

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შვილიშვილებისთვის მოსაყოლი ამბავი ჰოდა, ჯორდანს ორჯერ დავუფარე



AP მაიამიდან

ვლადიმერ სტეფანიამ ფილადელფიელ დერიკ კოულმენს ნახევარკაუჭი ჩაუგდო

18 მარტი

**მაიამი 83:103 ფილადელფია**
**მაიამი:** კარტერი (4), ჰაუსი (6), კ. ბატლერი (26), ალენი (8), გრანტი (8 ქულა, 11 მოხსნა); სტეფანია (27 წუთი, 14 ქულა, 8 მოხსნა), ჯეიმსი (9), რ. ბატლერი (6), ბეკტი (2), ლემბლი, ჯონსონი
**ფილადელფია:** სნოუ (5), აივერსონი (32), ვან ჰორნი (17), ჰილი (2), კოულმენი (4); ტომასი (16), მაკკი (14), ბაკნერი (6), უილიამსი (2), რენციასი (5), სკინერი, სალმონსი

**იუტა 99:81 დენვერი**
**იუტა:** სტოქტონი (12), ჩინი (12), ჰარპრინგი (22), მელოუნი (18), ოსტერტაგი (4); მასენბურგი (9), პადჯეტი (8), კირილენკო (6), ჯეკსონი (5), სტივენსონი (3), აროიო, ამიჩი
**დენვერი:** ჰარინგტონი (2), ბრუენი, ცქიტიშვილი (28 წუთი, 3 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი), ჰოვარდი (16), ილარიო (12); ვაიტი (12), იარბრო (10), კემპი (10), ჰარვი (6), უილიამსი (4), ანდერსენი (4), სავოვიჩი (2)

**მინესოტა 96:80 მემფისი**
**მინესოტა:** გარნეტი (29 ქულა, 19 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (16)
**მემფისი:** ბეტიე (18), სვიფტი (16)

**სან ანტონიო 97:105 ნიუ იორკი**
**სან ანტონიო:** დანკანი (27), პარკერი (26)
**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (36)

**ბოსტონი 74:87 ნიუ ჯერსი**
**ბოსტონი:** პირსი (23)
**ნიუ ჯერსი:** ჯეფერსონი (27), მარტინი (22)

**ვაშინგტონი 90:94 დეტროიტი**
**ვაშინგტონი:** სტეკჰაუზი (28), ჯორდანი (23 ქულა, 11 მოხსნა)
**დეტროიტი:** ბილაფსი (26), ვოლესი (6 ქულა, 20 მოხსნა, 7 დაფარება)

**ჩიკაგო 103:78 ატლანტა**
**ჩიკაგო:** როუზი (31)
**ატლანტა:** რობინსონი (27)

**საკრამენტო 117:91 გოლდენ სტეიტი**
**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (20), ჯეკსონი (18)
**გოლდენ სტეიტი:** არენასი (22), ჯემისონი (17), დანლივი (15)

**სიეტლი 100:94 ჰიუსტონი**
**სიეტლი:** ლუისი (25), ალენი (23)
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (23 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა), მობლი (16)

**დალასი 114:93 კლივლენდი**
**დალასი:** ნოვიცკი (28), ფინლი (21), ნეში (21)
**კლივლენდი:** ილგაუსკასი (30 ქულა, 13 მოხსნა), პარკერი (16)

„მეტოქემ კლასში გვაჯობა“ — ამოიოხრა „მაიამის“ მწვრთნელმა პატ რაილიმ „ფილადელფიასთან“ 20-ქულიანი მარცხის შემდეგ. ეს გულზვიადი კაცი ხანდახან შეგებრალება. მისი გუნდები ყოველთვის გამარჯვებაზე იყვნენ დაგეშილები, კლასი და ნიჭიერი ბიჭები არ აკლდათ, თანამედროვე „მაიამიში“ კი თვალში საცემია კარგი კალათბურთელების დეფიციტი. ამის გამო რაილის გუნდი აგერ, მეორე სეზონია, პლეი ოფში ვერ ხვდება.

„ფილადელფიასთან“ „მაიამი“ იმთავითვე გაიწირა. აივერსონი და მისი რაზმი მართალია, სხვის მოედანზე თამაშობდნენ, მაგრამ თავიდანვე აგრესიულად დაიწყეს და უკვე საწყის 12-წუთეულში 10 ქულა აართვეს საკუთარი ფარის ვაი-ვაგლახით დამცველ მასპინძლებს. მეორე მეოთხედში უპირატესობა 17 ქულამდე გაიზარდა და „მაიამიმ“ ფარ-ხმალი დაუშვა. 12 მაიამელი დამცველიდან ახალბედა კერონ ბატლერი და ახმახი ქართველი ვოვა სტეფანია იდგნენ ბოლომდე და მხოლოდ ამათ მოიპოვეს 10 ქულაზე მეტი. სტეფანიამ თამაშში 8 სროლიდან 7-ჯერ იზუსტა და 14 ქულა დაიწერა აქტივში. ბატლერისთვის 26 ქულა სეზონის და თან კარიერის რეკორდია.

გვაჯობა მეტოქემო, იხრავდა მერე რაილი. აჯობებდა, აბა, რას უზამდა. ამ მეტოქემ ბოლო 17 შეხვედრიდან 15-ს ის დღე დააწია, რაც უსახურ „მაიამის“. ატლანტიკის დივიზიონის და მასთან აღმოსავლეთის პირველობისკენ ძალუმად დაძრული „ფილადელფია“ ყველა კალიბრის გუნდისთვის ხიფათად ქცეულა. „ერთ გუნდად შეკრულები ძნელი დასამარცხებლები ვართ. ამას დღითი დღე ვაცნობიერებთ და უფრო და უფრო ვმკვრივდებით ერთ სხეულად“ — აი, ასეთ რამეებს ამბობს მარტო ბურთაობაში არაერთგზის ბრალდებული ალენ აივერსონი. წლეულს იგი ვერ გახდება ლიგის პირველი მექულე, იგი გვარიანად ჩამორჩება ტრეისი მაკგრეიდისა და კობი ბრაიანტს, თუმც ალმაცერი „ფილადელფიისთვის“ მაინც ბლომად იხვეჭს ქულებს და ახლაც „მაიამის“ 32 ქულა ჩაუგდო.

„მაიამიზე“ უარეს დღეშია მეორე „ქართული“ გუნდი „დენვერ ნაგიტსი“, თავად ქართველი ნიკა ცქიტიშვილი უკვე მყარად დამკვიდრდა კოლორადოელთა დამწყებ ხუთეულში, მაგრამ „დენვერის“ ლიდერად ნიკას ჩამოყალიბების პროცესი საშინლად ნელა მიმდინარეობს. ცქიტიშვილის კანტიკუნტი გაელვარებები „დენვერს“ მეტოქეთა დასამარცხებლად არ ჰყოფნის. ახლაც ნიკამ სამი ქულა ჩაუგდო „იუტას“, რომელთანაც „ნაგიტსმა“ პირველივე წუთების 0:13 წაგებით თავიდანვე დაუშვა ცხვირი.

საინტერესო შეხვედრას უმასპინძლა სან ანტონიომ. იქაური „სფურზი“, ეს ორნახევარი თვეა, შინ და გარეთ მუსრავს მეტოქეებს, ახლა კი ამ ზეყოფილმა გუნდმა უკბილო და უმოტივაციო „ნიუ იორკთან“ დაიჩოქა. მატჩის გმირი გამარჯვებულთა მსროლელი ალან ჰიუსტონია, რომელმაც მასპინძლებს 6 სამქულიანი და 8 ორქულიანი უთავაზა. ჰიუსტონი საუკეთესო ფორმაშია, ამას წინათ 50 ქულაც მოიხვეჭა და კიდევ რამდენიმე ასეთი თამაში რომ ჩაატაროს, ვინძლო მარტის საუკეთესო მოთამაშის მინაპრიზსაც გამოჰკრას ხელი.

უმოტივაციო კი ვუწოდეთ, მაგრამ „ნიუ იორკმა“ ერთი-ორი თამაში რომ მიყოლებით მოიგოს, მეპლეიოფე გუნდებს მიადგება. ასეთია მაგალითად მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონი“, ნახევარზე მეტი თამაშის წამგები და ამდენად არც ძალიან მრისხანე გუნდი, რომელთანაც ჭიდაობაც ღირს. გუშინწინ მაიკლ ჯორდანის რაზმმა მორიგი მარცხი იწვნია, აღმოსავლეთში გალიდერებულ „დეტროიტს“ ვერ გაუმკლავდა. თავად ჯორდანი ფერზე კი იყო და ბლომად ქულა-მოხსნები გამოიმუშავა გუნდისთვის, მაგრამ რად გინდა, მეტოქეთა დაცვა ისე ვერ დააფრთხო, რომ ამათ ის თამაში „ვაშინგტონისთვის“ ეჩუქებინათ. დეტროიტელმა ბენ ვოლესმა, რომელიც, უდავოა, ამ სეზონის შემდეგაც დასახელდება საუკეთესო დამცველად, ორჯერ დაუფარა ოდესღაც მფრინავ, აწ კი ასაკით დამძიმებულ მაიკლს.

**ირაკლი ფირაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 42 | 24 | 63,6 |
| ნიუ ჯერსი | 41 | 26 | 61,2 |
| ფილადელფია | 40 | 26 | 60,6 |
| ინდიანა | 39 | 28 | 58,2 |
| ბოსტონი | 38 | 29 | 56,7 |
| ნიუ ორლეანი | 38 | 30 | 55,9 |
| ორლანდო | 34 | 33 | 50,7 |
| ვაშინგტონი | 32 | 35 | 47,8 |
| მილუოკი | 32 | 35 | 47,8 |
| ნიუ იორკი | 30 | 37 | 44,8 |
| ატლანტა | 27 | 41 | 39,7 |
| ჩიკაგო | 24 | 45 | 34,8 |
| მაიამი | 21 | 46 | 31,3 |
| ტორონტო | 20 | 45 | 30,8 |
| კლივლენდი | 12 | 54 | 18,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 51 | 16 | 76,1 |
| საკრამენტო | 47 | 21 | 69,1 |
| სან ანტონიო | 47 | 19 | 71,2 |
| პორტლენდი | 43 | 24 | 64,2 |
| მინესოტა | 44 | 26 | 62,9 |
| ლეიკერსი | 38 | 28 | 57,6 |
| იუტა | 38 | 29 | 56,7 |
| ჰიუსტონი | 35 | 31 | 53,0 |
| ფინიქსი | 35 | 31 | 53,0 |
| გოლდენ სტეიტი | 32 | 35 | 47,8 |
| სიეტლი | 31 | 35 | 47,0 |
| მემფისი | 24 | 42 | 36,4 |
| კლიპერსი | 21 | 46 | 31,3 |
| დენვერი | 14 | 53 | 20,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



*ჩოგბურთის დიდების დარბაზს წლეულს ოთხი სახელიანი დიდმეჩოგნე შეემატება — ამერიკელ ნენსი რიჩისთან, ფრანგ ფრანსუა დიურსა და ავსტრალიელ ბრაიან ტობინთან ერთად უკვდავთა ხომლში გერმანელი ბორის ბეკერიც დაივანებს.*

*საქმეში ჩახედული მკითხველისთვის ჟღალთმიან გერმანელს განსაკუთრებული წარდგინება არ სჭირდება, თუმცა მისი კარიერის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა მოგონება მაინც ხამს.*

*საჩოგბურთო კაბადონზე ბეკერმა პირველად 1985 წელს ამოაშუქა, როცა ჯერაც 17 წლისა და 7 თვისა უიმბლდონის უმრწემესი გამარჯვებული შეიქნა. ის გახდა პირველი გერმანელი და იმავდროულად პირველი განუთესავი მოთამაშეც, ვინაც ლონდონური სეფეკოინდრის საჩემპიონოდ გაჯეგვა შეძლო.*

*უიმბლდონს მან მოგვიანებით თავისი სახლი უწოდა, რაკიღა მომდევნო ათი წლის განმავლობაში იქ შვიდი ფინალი ითამაშა. ამ შვიდიდან მისთვის საზეო 1986 და 89 წლების გადამწყვეტი შეხლები გამოდგა.*

*სულ ბეკერმა ექვსი სლემტურნირი მოიგო. უიმბლდონურ დიდჯილდოთა გარდა მისი ზარდახშა 1989 წელს აშშ-ის ღია პირველობასა და 1991 და 96 წლებში ავსტრალიის ღია პირველობაზე მორენილმა სლემტიტულებმაც შეავსო.*

*ის ჯამში 109 კვირის მანძილზე მოთავეობდა კაცთა ამქრის რეიტინგსიას და 1985 წლიდან 1999 წლის ჩათვლით 49 საერთეულო და 15 საწყვილო ტიტული მოიხვეჭა, ხოლო 1988-89 წლებში დასავლეთგერმანიას დევისთასის ზედიზედ მოგებაში შეეწია.*

*დიდ ჩემპიონსა და უკანასკნელი თხუთმეტწლეულის ერთ გამორჩეულ ზევარსკვლავს ჩვენი დასავლელი კოლეგები იმ დღეს ლიანგად გაესაუბრნენ. საუბარი საინტერესო გამოდგა და ვინძლო ჩოგნაობის ჩვენებურ ტრფიალთაც ეამოთ*

# პიროვნება!

## რა არის მთავარი ჩოგბურთში ბორის ბეკერისთვის



— გაგონდებათ თუ არა თქვენი ადრეკარიერიდან რომელიმე შეხვედრა ან რაიმე მომენტი, როცა თქვენ გააცნობიერეთ, რომ საკმარისი პოტენცია გაქვთ, არა მხოლოდ კარგი მოთამაშე, არამედ ყველა დროის ერთ-ერთი დიადი მეჩოგნეც გახდეთ? ბიორნ ბორგი, ჯონ მაკინროი თავიანთ სამომავლო სიდიადეს სიყრმიდანვე ავლენდნენ... საინტერესოა, თქვენ როგორ ფიქრობთ, სიდიადე თანდაყოლილი თვისებაა თუ შეიძლება მისი განვითარება ისე, როგორც, ვთქვათ, ეს ივან ლენდლმა მოახერხა?

— ჩემი პირველი უიმბლდონური წარმატება ჩემთვისაც ისეთივე მოულოდნელობა იყო, როგორიც მთელი დანარჩენი მილიონისთვის. მახსოვს, უძლავრეს შოკში ვიყავი... მხოლოდ მომდევნო წელს, როცა ტურნირის მოგება ხელმეორედაც შევძელი, მივხვდი — ჩოგბურთში დიდი გამარჯვებებისთვის ვიყავი მოსული და არაჩვეულებრივი მომავალი მელოდა... ასე რომ, ვფიქრობ, 1986 წლის უიმბლდონის მოგება იყო სწორედ ის გადამწყვეტი მომენტი, რაიც საკუთარ ძალმოსილებაში დასარწმუნებლად მჭირდებოდა. რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას, ცხადია, ჩოგბურთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხასიათის სიმტკიცეს, იმას, ახერხებ თუ ვერა ჭირსა შიგან გამაგრებას, ნერვების ალაგმვას, მობილიზებას... ეს ისეთი რამეა, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ხელწალმასა თუ ხელუკულმასთან... თქვენ ბორგი და მაკინროი ახსენეთ. ისინი ძალიან, ძალიან გამორჩეული ტიპები იყვნენ, თავიანთი გამორჩეული ხასიათებით. მაგრამ მათ ერთი რამ ჰქონდათ საზიარო: ისინი გამარჯვებას არ გაურბოდნენ, მოგებისა არ ეშინოდათ! ჩემის აზრით, ამას ვერასოდეს შეიძენ, ეს იმთავითვე შენში უნდა იყოს.

**— საინტერესოა, ახლა რას საქმიანობთ?**

— როგორც გითხარით, ჩოგბურთი ჯერაც დიდ როლს თამაშობს ჩემს ცხოვრებაში. აქა-იქ ჭარმაგთა ტურნირებზე გამოვდივარ, საქველმოქმედო ჩოგნაობებში ვმონაწილეობ... ამ წლიდან მე და ჩემი კომპანია ჰამბურგის მასტერსტურნირის მენეჯერობასაც ვკისრულობთ. მოკლედ, საკმაოდ დაკავებული გახლავართ.

**— კარიერისას ბევრი რამისთვის მიგიღწევიათ და ჩვენ ყველაფერი ამის შესახებ მეტ-ნაკლებად კარგად ვიცით. იყო თუ არა რამე თქვენს ცხოვრებაში ისეთი, რაც თქვენთვის შეიძლებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობისა ყოფილიყო, ჩვენთვის კი — არა?**

— საჩოგბურთო თვალსაზრისით?

**— საჩოგბურთოთიც და არასაჩოგბურთოთიც.**

— მიდით, მაინც კორტზე დავრჩეთ... როცა უკან ვიყურები, ყველაზე მეტად, რაც გულს მწყვეტს, ბოხილა თიხნარტურნირებზე წარუმატებლობაა. რა კარგი იქნებოდა, ერთი მათგანი რომ მაინც მომეგო... არადა, მონტე კარლოში მატჩბურთებიც მქონია, როლან გაროსზე რამდენჯერმე ნახევარფინალშიც ვყოფილვარ და ფინალშიც, მაგრამ არც ერთხელ არ გამიმართლა. ჰო, ამას ყველაზე მეტად განვიცდი.

**— როცა რაღაც განსაკუთრებულ თვისებებზე საუბრობთ, საინტერესოა, ამჟამინდელი ახალგაზრდა მეჩოგნეებიდან თუ ხედავთ ვინმეს, ვისაც ასეთი თვისებები ექნებოდა? უფრო კონკრეტულად, ვთქვათ, ენდი როდიკზე რას იტყოდით?**

— ვეტერანებს, ან უბრალოდ გამოცდილ მოთამაშეებს მართლაც შეუძლიათ ჭაბუკებში ამ თვისებათა გაწკვრეტა. კიდევ გიმეორებთ — საქმე აქ არ ეხება მაინცდამაინც გლაჯუნა ხელწალმებსა თუ დახვეწილ ხელუკულმებს. აქ უფრო განწყობაზე, ხასიათზე, პიროვნებაზე ვლაპარაკობთ. ქასიათიანი, შემართული ჭაბუკები ახლა საკმაოდ არიან და ენდი როდიკი მათ შორისაა. მაგრამ სხვა საკითხია, შეძლებენ თუ არა ისინი ბოლომდე თვითრეალიზებას, თავიანთი შინა-არსის ბოლომდე გამოვლენას.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ისე, რომ ამჟამინდელი არაამერიკელი ვარსკვლავები, ვთქვათ, ლეიტონ ჰიუიტი თუ გუსტავო კუერტენი, რომლებიც ჩაუქებიც არიან და ქარიზმატულებიც, ვერ ახერხებენ საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობას, მასების გალვანიზებას?**

— ვერ გეტყვით, ამაზე პასუხი ალბათ სხვას უნდა დაეკითხოთ. ისე კი, არა მგონია, ეს პრობლემა არსებობდეს. ჰიუიტი მძლავრი ვარსკვლავია, ის ჯერაც 21-22 წლისაა. მე ვფიქრობ, მასაც და კუერტენსაც მსოფლიოში ბევრი ეთაყვანება... თუკი თქვენ სანიმუშოდ მაინცდამაინც ჩემს პოპულარობას აიღებთ, ამასაც თავისი ახსნა აქვს — მე მხოლოდ 17 წლისა ვიყავი, თანაც გერმანელი და თანაც უიმბლდონზე ვიმარჯვე. ზორბა ეფექტი სწორედ ამან განაპირობა...

**— ახლა, როცა მთელი ეს საგადასახადო ალიაქოთი უკან მოიტოვეთ, თავს როგორ გრძნობთ? ეს ყველაფერი მართლაც წარსულს ჩაბარდა თუ ამაზე კვლავ ფიქრობთ, ნერვიულობთ?**

— დიახ, ეს უკვე დავიწყებულია. ეგეც არ იყოს, კარგი იქნება, თუკი ამ ჯერზე მხოლოდ საკუთრივ საჩოგბურთო თემებს დავყაბულდებით... მაგრამ რაკიღა გაინტერესებთ, გეტყვით — ეს ყველაფერი მართლაც უკან მოვიტოვე და ახლა მშვენივრად ვარ, მინდა, ცხოვრებაში მხოლოდ კარგ ამბებზე ვიფიქრო და ვიმუშავო.

**— ჩოგბურთიდან თქვენი ნაადრევი წასვლა ამ საგადასახადო პრობლემებმა განაპირობა?**

— უკვე გითხარით, დღეს მე არ მსურს ამ საკითხზე საუბარი.

**— თქვენ ყველაზე მეტად თქვენი ბარაქიანი მოწოდებით გამოირჩეოდით. შეგიძლიათ გვითხრათ, მოწოდების გარდა კიდევ რომელი სახის დარტყმა განსაზღვრავდა თქვენს წარმატებებს?**

— მე ვფიქრობ, რომ ყველანაირ დარტყმაზე უმთავრესი იარაღი ჩემი განწყობა იყო, განწყობა, რომელიც მაიძულებდა, ყოველი ქულისთვის ისე მებრძოლა, როგორც უკანასკნელისთვის.

**— თქვენ და მიხაელ შტიხი წლების განმავლობაში ერთმანეთს გერმანიის მთავარმეჩოგნეობას ეცილებოდით, თუ კორტზე და თუ კორტის გარეთ. ახლა როგორი ურთიერთობები გაქვთ? აქვს თუ არა მას შანსი, ოდესმე ჩოგბურთის დიდების დარბაზში აღზევდეს?**

— ჩვენ ახლა გაცილებით უკეთ ვართ ერთმანეთში, ვიდრე მაშინ. აქა-იქ ერთადაც ვჩოგნაობთ. იმედია, მომავალში ერთობლივი პროექტებიც გვექნება... ის უიმბლდონის ჩემპიონია, დევისთასის მფლობელი. გერმანული კაცჩოგბურთისთვის საუცხოო იქნებოდა, დარბაზში ორი მოთამაშე თუ ეყოლებოდა.

**— რომელიმე ისეთ მატჩზე ხომ არ მოგვიყვებოდით, რომელსაც, ვთქვათ, 150 წლისაც კი არ დაივიწყებთ?**

— ასეთ მატჩში 1987 წელს დევისთასზე ვითამაშე. იქით მაკინროი იდგა, აქეთ — მე. ჩვენ შეხვედრას უნდა გაერკვია, ამერიკა გავარდებოდა ელიტარული ჯგუფიდან თუ გერმანია. ეს ალბათ ჩემს მიერ ნათამაშებ შეხვედრათაგან უგრძელესი იყო და ალბათ არცთუ რომელსამე სხვა შეხლას წაუღია ჩემგან მეტი ჯიგარი თუ ილაჯი, ვიდრე ამას... ისე კი, ყველა სლემფინალი მახსოვს და უდიდესი სევდით უიმბლდონში წაგებულ ოთხ ფინალს ვიგონებ.

**— ვინ იყვნენ თქვენი უმთავრესი რაყიფები? ვისთან გიჭირდათ ყველაზე მეტად?**

— შუაოთხმოციანებში ჩემი უპირველესი მეტოქე ივან ლენდლი იყო. ის ნომერ პირველი იყო, მე — მეორე ნომერი: გვიანოთხმოციანებში კი ედბერგი აღზევდა და, შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი კარიერის უმთავრეს რაყიფადაც სწორედ მას მივიჩნევ. ჩვენ ზედიზედ სამ უიმბლდონურ ფინალში ვითამაშეთ და იმ წლებში მრავალი ტურნირის ბედი სწორედ ჩვენს საფინალო პაექრობებში ირკვეოდა. (ცნობისთვის — ბეკერმა ედბერგს ჯამში 25:10 აჯობა, ლენდლთან კი 10:11 წააგო).

**— რითი განსხვავდება კაცთა მაშინდელი საჩოგნეთი ამჟამინდელისგან?**

— ამაზე სასაუბროდ ალბათ საათები არ მეყოფა. პირველი და უმთავრესი, რაც ჩვენ დროს ახლანდელისგან გამოარჩევდა, დიდი პიროვნებების სიმრავლე იყო. ამას გარდა, ახლა ჩოგბურთს ბობოლა კონკურენტები ჰყავს, მაგალითად, ფეხბურთი, კალათბურთი, ბეისბოლი — სახეობები, როლმებიც საოცრად პოპულარულია და ჩოგბურთის საუკეთესო სატელევიზიო საათებს ეცილება... ის, თუ როგორ ვითარდება ენდი როდიკი, საუცხოო სანახავია, მაგრამ, ეჰ, ვისაც მაკინროი და კონორსი არ უნახავს... ენდი უნიჭიერესი ბიჭია, მაგრამ საიმისოდ, რათა ამერიკელები კვლავ მიუსხდნენ საჩოგბურთო ტელერეპორტაჟებს, მან, სულ მცირე, აშშ-ის ღია პირველობა მაინც უნდა მოიგოს.

**— როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა რომელიმე ამჟამინდელ მეჩოგნეს ამქარში ისევე იპირველოს, როგორც თავის დროზე, ვთქვათ, იგივე მაკინროი ან ბორგი პირველობდნენ?**

— ვფიქრობ, რომ ამგვარი რამ შესაძლებელია. მაგალითისთვის შორს წასვლა არც გვჭირდება — ლეიტონ ჰიუიტზე ვისაუბროთ. ბოლო ორი წლის განმავლობაში მან უიმბლდონიც მოიგო, აშშ-ის ღია პირველობაც, კიდევ რაღაცებიც და რეიტინგსიის ლიდერობაშიც ვინმე მანამდე არ შეუეჭვებია, სანამ 32 წლის ანდრე აგასიმ თავისი მორიგი სლემტიტული არ მიითვალა... ჰიუიტის გარდა ამქარში დომინირება ალბათ კიდევ რამდენიმე მოთამაშესაც უნდა ხელეწიფებოდეს.

**— კარიერის ხელახლა გავლა რომ შეგეძლოთ, რის გაკეთებას ეცდებოდით სხვანაირად?**

— ჰა-ჰა-ჰა, ეგებ უიმბლდონი უფრო ზრდასრულს მომეგო... თქვენ ვერ წარმოიდგენიათ, რა მძიმე დღეში ვიყავი — 1985 წლის შემდეგ ჩემგან ხომ მხოლოდ ჩემპიონობას ელოდნენ. ჩემს გემოზე ვერც ვვარჯიშობდი, ვერც წლიურ განრიგს ვადგენდი — იძულებული ვიყავი, ყოველწლიურად უიმბლდონის მოგებაზე მეფიქრა... მეორეს მხრივ — იქ სწორედ 17 წლისას რომ არ მეჩემპიონა, ალბათ არც დიდების დარბაზში მოხვედრას დავიმსახურებდი.

**— რა აზრის ხართ იმაზე, რომ ქალთა ჩოგბურთი კაცთაზე უფრო პოპულარული გახდა, ხოლო არაამერიკელი კაცები უკვე ტოლს აღარ უდებენ ამერიკელებს. რა არის ამის მიზეზი?**

— მიზეზი მარტივია — პიროვნებები. შავდა უილიამსების, განსაკუთრებით კი სერენას ზეობა უპრეცედენტოა. ასეთი რამ, რომ რომელიმე აფროამერიკელს ზედიზედ ოთხი სლემტურნირი აეკლოს, ადრე არასოდეს მომხდარა. სწორედ ამიტომაა, რომ ქალთა ჩოგბურთი ახლა ძალიან პოპულარულია. კაცთა ჩოგბურთს სჭირდება რაიმე ამგვარი, ექსტრაორდინალური, არაჩვეულებრივი. არ ვიცი — ეგებ ანდრე აგასიმ მოახერხოს წლეულს დიდი სლემის მოხვეჭა... კაცთა ამქარს ახლა არაფერი მოეპოვება ისეთი, რასაც სერენას ბოლოდროინდელ მიღწევებს დაუპირისპირებდა. მოკლედ — ყველაფერი ცალკეულ მეჩოგნეებზეა დამოკიდებული. მაგრამ კაცთა ჩოგბურთში ყველაფერი უფრო რთულადაა, რაკიღა აქ სლემტურნირთა მოგება გაცილებით მეტ მეჩოგნეს შეუძლია.

**— ძნელი იყო თუ არა ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება? რა იყო ამ პროცესის ყველაზე მძიმე მომენტი?**

— იმის გაცნობიერება, რომ უკვე ვეღარასოდეს იქნები ისეთი ჩაუქი, როგორიც ადრე იყავი. სწორედ ამის შეგნებამ მიბიძგა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისკენ.

**— ხოლო როცა წახვედით, მერე ინანეთ თუ არა? ხომ არ იფიქრეთ, რომ წასვლა ნაადრევი იყო?**

— მე შევწყვიტე, რადგანაც თამაში უკვე აღარ მინდოდა. ძალით არავის გავუგდივარ, წავედი, როცა დავრწმუნდი — მორჩა! ეგეც არ იყოს, ახლა დროც არ მაქვს საიმისოდ, რათა წარსულზე ფიქრებს და სინანულს მივეცე — ახლა ძალზედ დაკავებული ვარ, ბევრს ვმოგზაურობ, უამრავი გეგმა მაქვს. მოკლედ — ყველაფერი რიგზეა.

**— თქვენ ანდრე აგასი ახსენეთ. ის ხომ თითქმის თქვენი ასაკისაა — ის 33 წლისაა, თქვენ — 35-ის. არ გიკვირთ, რომ თამაშისა და მოგების სურვილი ჯერაც არ განელებია? ვინ იცის, ეგებ დიდი სლემიც მოიგოსო, ასეც თქვით.**

— და არც ეგ გამიკვირდება, რადგანაც ანდრეს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვს. ხოლო სურვილი და მოტივაცია კვლავ ძველებურად რომ არ ასვენებს, ეგ მისი ოჯახური პრობლემაა — მის მეუღლეს ხომ მასზე გაცილებით მეტი სლემტიტული მოუგია. წარმოიდგინეთ ანდრე და შტეფი ვახშმისას — ბიჭს რა უნდა შეერგოს, როცა ცოლი ეტყვის, „მე უიმბლდონი შვიდჯერ მომიგია, შენ კი მხოლოდ ერთხელ." არა, ანდრეს ნაღდად ცოლი არ ასვენებს.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებს ანდრე შტეფის საროლანგაროსოდ დაყოლიებას?**

— იმედია, რომ — კი. მათი წყვილად ჩოგნაობის ცქერა ერთ რამედ ეღირება.

**— უეინ ფერეირა და მისი ამხანაგები ATP-ისგან დამოუკიდებელი ასოციაციის დაარსებას გეგმავენ. თქვენ რა აზრის ხართ ამ წამოწყების შესახებ?**

— ვფიქრობ, რომ ცდებიან. ჩემი აზრით, ATP ისედაც რიგიანად მუშაობს. ცხადია, იქაურ მამებს, როგორც ყველას, შეცდომებიც ექნებათ, მაგრამ ITF-სთან ერთად ამ ორგანიზაციამ ძალიან ბევრი გააკეთა საიმისოდ, რათა ჩოგბურთს თანამედროვე დონისთვის მიეღწია.

**— ბევრ ჩოგბურთელს აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მათ ჩოგნის ქნევის მეტი არაფერი იციან. თქვენ კი ყოველთვის ყველაფერი გაინტერესებთ. რას ფიქრობთ შესაძლო ომის შესახებ, რომელიც, ეს ინტერვიუ რომ დაიბეჭდება, ეგებ უკვე დაწყებულიც იყოს?**

— მე არ ვარ პოლიტიკოსი და არ ვიცი, რა ხდება სცენის მიღმა, მე ერთი რიგითი მოქალაქე ვარ, რომელსაც უბრალოდ ეშინია ომის. სიტუაცია ძალიან მძიმეა და ეს არავის ახარებს... მე ბევრგან დავდივარ. ხან ამერიკაში ვარ, ხან — აღმოსავლეთ აზიაში. აეროდრომები, ოტელები, ბარები... ომის ფონზე მოგზაურობა ძალზედ ხიფათიანი ამბად იქცევა.

# გვეშინია!

## ამერიკელები ერაყთან ომს ამერიკაში გაურბიან

*ამერიკისგან სადამ ჰუსეინისთვის და მის სამფლობელოდ ქცეული ერაყისთვის გამოცხადებულმა ომმა სპორტული სამყაროც ააფორიაქა. სადამს ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ქობინები და სხვა მამაძაღლობები აქვსო და გაქრა ჩვენს პლანეტაზე სიმყუდროვის ილუზია. დაფრთხნენ დიპლომატიური კორპუსები, პლანეტის მშვიდობიანი ხალხი და რაღა თქმა უნდა, მომთაბარე სპორტსმენები, რომლებიც ტერორისტებისთვის სპილოსავით ვეება სამიზნეს წარმოადგენენ. ჩაიშალა არაერთი სპორტული ღონისძიება, ბევრიც ჩაშლის პირასაა*



სადამ ჰუსეინის ყბადაღებულმა ქიმიურმა იარაღმა სპორტული სამყაროც ააფორიაქა

ამერიკა იმხელა ქვეყანაა, შეუძლია ომი აწარმოოს, ისე რომ მისი მოსახლეობის მეტმა ნაწილმა ნიავადაც არ იგრძნოს „ტომაჰავკების" გრგვინვა. ბევრი ამერიკელი იმით თუ შეწუხდება, რომ მათთვის საყვარელი ბეისბოლის სეზონის დაწყება ჩაიშალა. MBL (მთავარი საბეისბოლო ლიგა) 25 მარტს იაპონიაში, ტოკიოში გეგმავდა სეზონის გახსნას, „სიეტლ მარინერზი" და „ოკლენდ ათლეტიკსი" ამ დღეს პირველ მატჩს გამართავდნენ და ერთი დღის შემდეგ მეორესაც მიაყოლებდნენ, მაგრამ ეს იდეა იდეადვე დარჩა. სეზონი, რა თქმა უნდა, დაიწყება, ერაყთან ომის გამო ამერიკაში სპორტი ნაღდად არ მოკვდება, მაგრამ დაიწყება არა ტოკიოში, არამედ ამერიკაში, სადაც ამერიკელები თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ.

„მართალი გითხრათ, მე არ მომწონს დედამიწაზე ხეტიალის იდეა, როცა ჩემი ქვეყანა ომს აპირებს" — ამბობს „სიეტლ მარინერზის" მოთამაშე ჯონ ოლერიუდი.

„ჩვენ შეგვეძლო, გაგვეზარდა უსაფრთხოების ზომები იაპონიაში მოგზაურობისას, მაგრამ რისკი მაინც დიდია. ჩვენ ვალდებულები ვართ, საფრთხეში არ ჩავაგდოთ ჩვენი მოქალაქეები, ამიტომაც უარი ვთქვით იაპონიაში გამგზავრებაზე" — ამბობს MBL-ს კომისარი ბად სელიგი.

ბეისბოლისტებს მას შემდეგ გაუმტკიცდათ იაპონიაში თამაშზე ხელის აღების აზრი, რაც გაეროში ერაყის წარმომადგენელმა მოჰამედ ალდურიმ ქვემორე განცხადება გააკეთა — „პლანეტის არც ერთი კუთხე არ იქნება უსაფრთხო ამერიკელებისთვის. ომი ომია და როგორ უნდა ითხოვო უსაფრთხო ადგილი, მით უმეტეს, თუ ოკუპანტი და აგრესორი ხარ?"

ქვეყნის გარეთ გასვლას ერიდებიან სხვა ამერიკელი სპორტსმენებიც და არამარტო ამერიკელები. ერაყზე კარსმიმდგარმა ომმა სხვებზე მეტად ავსტრალიელები დააფრთხო. ავსტრალიელი მოცურავეები — მოგეხსენებათ, ისინი თავიანთ სფეროში უძლიერესებად ითვლებიან და თვით ამერიკელებზე წინაც დგანან — ალბათ გადადებენ შტატებში გამგზავრებას, სადაც იქაურ მოცურავეებთან პერსონალურ გაჯიბრებას აპირებდნენ.

გეზი და გეგმები აგრეთვე შეიცვალა ცნობილმა ავსტრალიელმა მეგოლფემ ადამ სკოტმა. მიუხედავად იმისა, რომ ის დოჰას ტურნირის შარშანდელი გამარჯვებულია და წლეულსაც აუცილებლად გეგმავდა ტიტულის დაცვას, მან ხელი აიღო დოჰაში გამგზავრებაზე. მიზეზს ძებნა არ სჭირდება, დოჰა ყატარის დედაქალაქი გახლავთ, ეს ქვეყანა კი სპარსეთის ყურის შუაგულშია, სადაც მალე გოლფის ბურთები კი არა B1 გამანადგურებლები და ფრთოსანი რაკეტები დაიწყებენ ფრენას.

**კოტე ყორშია**

## ჭადრაკი

*მონტე კარლოში გახურებული ტურნირის, „ამბერის" მეოთხე ტური ყველაზე წარმატებული მოროზევიჩისთვის აღმოჩნდა. მან სერბი მეტოქე ლუბოევიჩი ორივე, თვალდახუჭულ და ბლიც პარტიაში დაამარცხა და საერთო ჩათვლაში რამდენიმე საფეხურით აღზევდა*

# კრამნიკმა ლეკო ვერ დაამარცხა



პიტერ ლეკო

პირველობა შეინარჩუნა პიტერ ლეკომ, თუმც მდევრები საგრძნობლად ახლოს მიუშვა. ამჟამად უნგრელ დიდოსტატს სულ რაღაც ნახევარი ქულა აშორებს მეორე-მეხუთე ადგილებზე მყოფ ანანდთან, კრამნიკთან, გელფანდსა და მოროზევიჩთან.

მეოთხე ტური ალბათ ყველაზე დაძაბული სწორედ ლეკოსთვის. აქ იგი თავის უშუალო კონკურენტ კრამნიკს დაუპირისპირდა, რომელსაც საბოლოოდ მშვიდობიანად, წყვილი ყაიმით დაშორდა.

თვალახვეული მატჩის წინ ქულადაუკარგავი კრამნიკი ლეკოსთან ფავორიტად ითვლებოდა. თამაში უნგრელმა კლასიკური E4-ით დაიწყო და მალე ცენტრში უპირატესობაც მოიპოვა. საკუთარ ტერიტორიაზე შეყუჟულმა კრამნიკმა კი ფიგურების თანდათან განვითარება დაიწყო და მალე შეტევაც წამოიწყო. რუსი დიდოსტატი გაცვლით თამაშზე გადავიდა და მეტოქის ფიგურების ხოცვას მიჰყო ხელი, რის შემდეგაც 22-ე სვლაზე დაფა სანახევროდ დაცარიელდა. ამის შემდეგ პარტია კვლავ ორმხრივ შეტევებში გაგრძელდა, თუმც მეტოქეებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს და 32-ე სვლაზე ყაიმი გამოაცხადეს.

შედარებით მშვიდობიანი გამოდგა ბლიცპარტია. დაფაზე ფიგურა პირველად 25-ე სვლაზე ლეკომ აიყვანა. ეს D4 უჯრაზე მდგარი პაიკი გახლდათ. თუმცა ამით თამაშის ტემპი არ შეცვლილა და ათიოდე სვლაში მოწინაალმდეგეებმა ყაიმით დაასრულეს შეხვედრა.

34-ე დაბადების დღე ჩაუმწარდა ვასილ ივანჩუკს. უკრაინელი მოჭადრაკე ბევრს კი ეცადა ანანდთან ღირსეულად გამოსულიყო, თუმც... ბრმა ჭადრაკში ყაიმით დასრულებული თამაშის შემდეგ ბლიცპარტიაში ინდოელმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და 38-ე სვლაზე დაახევინა.

ტურნირზე ჯერჯერობით უდიდესი, 106-სვლიანი პარტია ითამაშეს ბლიცში ვან ველმა და გელფანდმა. ბრმა ჭადრაკში დამარცხებული ვან ველი რევანშს ებრაელ დიდოსტატთან სწრაფ ჭადრაკში გეგმავდა, თუმც სიჩქარეში დასანანი შეცდომა დაუშვა და ყაიმსღია გამორჩა. „ამბერზე" პირველი გამარჯვება იზეიმა ალექსეი შიროვმა, რომელმაც თვალებახვეულმა და თან შავი ფიგურებით ბარეევს მოუგო.

**ლაშა გეგეჭკორი**


საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია,
ვეტერანი ძალოსნები და მეგობრები
70-ე დაბადების დღეს
ულოცავენ წარსულში ცნობილ ძალოსანს
გიორგი სანიკიძეს



რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80


## რეგულარული ჩემპიონატი

# უშნოებო, გილოცავთ გაუხარელი წლის სიხარულის დღეს

— 18 მარტი —

**ბუფალო 5:2 ფილადელფია**
*2:1 2:1 1:0*

**1:0 ბრირი (4), 2:0 დიუმონი (7), 2:1 ლეკლერი (11), 2:2 ამონტე (26), 3:2 აფინოგენოვი (28), 4:2 შეხტი (39), 5:2 პატრიკი (41)**

თამამად შეიძლება ითქვას, რომ 18 მარტი საპლეიოფოდ ხელმოცარულთა პატარა სიხარულის დღე იყო ნჰლ-ში. ბუფალოს მწვრთნელ ლინდი რაფს ჩაფლავებული სეზონისგან, სასიამოვნო მოგონებად ისლა დარჩება რომ ფილადელფიასთან გამარჯვებით მიერ მოგებული თამაშების რიცხვმა 211-ს უწია. ამ მაჩვენებლით რაფი გუნდის რეკორდსმენი გახდა და თვით სკოტი ბოუმენს გაუსწრო, რომელმაც თავისი კარიერა სწორედ ბუფალოში დაიწყო. ცხადია, რაფი ამ გამარჯვების მოპოვებას გაცილებით ადრე ისურვებდა, მაგრამ...

**კაროლინა 5:6 ოტავა** *0:2 2:2 3:2*

**0:1 ფიშერი (4), 0:2 არვედსონი (12), 1:2 კურკა (23), 1:3 სპეცა (33), 2:3 ვრბატა (33), 2:4 ნილი (35), 3:4 სურმა (43), 3:5 სპეცა (44), 4:5 ონილი (45), 4:6 რედენი (54), 5:6 ვრბატა (56)**

გახარების მცირე საბაბი კაროლინასაც ჰქონდა. მართალია, შარშანდელ ფინალისტს სწორედ ამ დღეს ჩაუქრა პლეი ოფში გასვლის იმედის ნაპერწკალი, მაგრამ მომავალი მაინც საკმაოდ ნათლად დაესახა, რაკი დამიან სურმე კლუბის მეხუთე (!) მოთამაშე გახდა, ვინც წლეულს თავის სადებიუტო მატჩში გამოირჩა.

**პიტსბურგი 1:5 დეტროიტი** *1:1 0:1 0:3*

**1:0 სტრაკა (9), 1:1 მაკარტი (9), 1:2 შენაჰანი (29), 1:3 ფიოდოროვი (42), 1:4 ფიოდოროვი (44), 1:5 რობიტაილი (51)**

მისხალი სიხარული პიტსბურგსაც ერგო. 13 თამაშია, მარიო ლემიეს გუნდს მოგება არ დაუგემოვნებია. სამაგიეროდ, მარტინ სტრაკამ გაიტანა და 500-ქულიან ზღვარს უწია.

**ტორონტო 3:3 აილენდერსი**
*1:0 1:0 1:3 0:0*

**1:0 მოგილნი (15), 2:0 ნოლანი (30), 2:1 ოკოინი (17), 2:2 ეშამი (40), 3:2 ნოლანი (52), 3:3 სკაჩანდი (58)**

**მონრეალი 0:1 ნიუ ჯერსი** *0:1 0:0 0:0*

**0:1 გომესი (6)**

**სენტ ლუისი 6:4 ვანკუვერი**
1:2 2:2 3:0

**0:1 მორისონი (6), 0:2 ლინდენი (13), 1:2 დრეიკი (15), 2:2 ჩაიანეკი (21), 2:3 კლეტი (22), 3:3 მელანბი (28), 3:4 დ. სედინი (30), 4:4 ბოგუნიცკი (44), 5:4 ჩაიანეკი (45), 6:4 მელანბი (60)**

**ფინიქსი 2:1 ბოსტონი** *1:0 1:1 0:0*

**1:0 ნუმინენი (12), 2:0 ნადი (21), 2:1 ნუბლი (39)**

**ლოს ანჯელესი 1:4 კალგარი**
*1:1 0:1 0:2*

**0:1 ლოური (8), 1:1 მოდრი (17), 1:2 იგინლა (32), 1:3 საპრიკინი (53), 1:4 ლეოპოლდი (59).**

ჯერომ იგინლა გვიან მოვიდა მაღაზე. წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ოთხი მატჩია, ყინულს უგოლოდ არ ტოვებს და მისი გუნდიც ჩინებულად თამაშობს, მაგრამ რაღა დროსაა, პლეი ოფი ხომ უკვე მიუწვდომელია „ალებისთვის". „პირადი მიღწევა არაფერია გუნდის წარმატებასთან შედარებით. ძალიან ძნელია, როცა ამხელა სეზონს გაივლი და გრძნობ, რომ ვერაფერს მიაღწიე. კიდევ კარგი, ჩემპიონატის მეორე ნახევარში ვაპოვეთ ჩვენი თამაში, ეგებ ეს მომავალ სეზონშიც გადაგვყვეს" — ფილოსოფოსობდა მატჩის შემდეგ იგინლა.

**სამველ ლარიბიანი**




ნიუიორკელმა ანდრიან ოკოინმა ტორონტოელი ტომ ფიცჯერალდი ააყირავა

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 74 | 46 | 7 | 1 | 20 | 237:170 | 100 |
| ნიუ ჯერსი | 72 | 41 | 6 | 5 | 20 | 189:152 | 93 |
| ტამპა | 73 | 33 | 12 | 5 | 23 | 199:191 | 83 |
| ფილადელფია | 72 | 38 | 11 | 4 | 19 | 174:153 | 91 |
| ტორონტო | 73 | 39 | 6 | 2 | 26 | 210:185 | 86 |
| ვაშინგტონი | 73 | 34 | 8 | 5 | 26 | 198:191 | 81 |
| ბოსტონი | 73 | 33 | 8 | 4 | 28 | 220:213 | 78 |
| აილენდერსი | 73 | 32 | 10 | 2 | 29 | 197:200 | 76 |
| რეინჯერსი | 74 | 29 | 9 | 3 | 33 | 191:213 | 70 |
| მონრეალი | 74 | 27 | 8 | 8 | 31 | 183:208 | 70 |
| ფლორიდა | 73 | 23 | 12 | 9 | 29 | 164:212 | 67 |
| ატლანტა | 71 | 25 | 6 | 4 | 36 | 191:251 | 60 |
| პიტსბურგი | 74 | 25 | 5 | 4 | 39 | 175:230 | 60 |
| კაროლინა | 74 | 22 | 10 | 6 | 36 | 159:211 | 60 |
| ბუფალო | 72 | 22 | 9 | 7 | 34 | 164:191 | 60 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 73 | 43 | 9 | 3 | 18 | 239:181 | 98 |
| ვანკუვერი | 74 | 41 | 12 | 1 | 20 | 234:191 | 95 |
| დალასი | 73 | 39 | 15 | 2 | 17 | 219:152 | 95 |
| სენტ ლუისი | 72 | 38 | 9 | 6 | 19 | 229:188 | 91 |
| კოლორადო | 72 | 35 | 12 | 7 | 18 | 212:175 | 89 |
| მინესოტა | 72 | 36 | 10 | 1 | 25 | 176:159 | 83 |
| ანაჰაიმი | 74 | 35 | 9 | 4 | 26 | 180:177 | 83 |
| ედმონტონი | 73 | 32 | 8 | 8 | 25 | 200:203 | 80 |
| ფინიქსი | 72 | 29 | 9 | 4 | 30 | 185:196 | 71 |
| ნეშვილი | 72 | 27 | 11 | 5 | 29 | 172:179 | 70 |
| ლოს ანჯელესი | 73 | 30 | 5 | 4 | 34 | 183:196 | 69 |
| ჩიკაგო | 72 | 27 | 10 | 5 | 30 | 177:186 | 69 |
| სან ხოსე | 72 | 26 | 6 | 7 | 33 | 193:213 | 65 |
| კალგარი | 73 | 25 | 11 | 4 | 33 | 168:209 | 65 |
| კოლუმბუსი | 72 | 25 | 7 | 3 | 37 | 188:230 | 60 |

*დახრილი შრიფტით პლეი ოფში აღნიშნულია გასული გუნდები*

ბომბარდირები: ნესლუნდი (ვანკუვერი) 93(42+51), ტორნტონი (ბოსტონი) 90(34+56), ფორსბერგი (კოლორადო) 88(25+63), ბერტუცი (ვანკუვერი) 87(42+45), ლემიე (პიტსბურგი) 87(28+59), ჰეიდუკი (კოლორადო) 83(41+42), დემიტრა (სენტ ლუისი) 81(30+51), მიურეი (ბოსტონი) 80(38+42), მოდანო (დალასი) 76(27+49), პალფი (ლოს ანჯელესი) 74(31+43), ალფრედსონი (ოტავა) 74(25+49), იაგრი (ვაშინგტონი) 73(36+37), კოვალიოვი (რეინჯერსი) 73(33+40), მოგილნი (ტორონტო) 73(29+44)

REUTERS პორტ ელიზაბეთიდან




# ხანტურალი

რუსეთის ხანტი-მანსიისკში მიმდინარე ბიატლონის მსოფლიო ჩემპიონატის ოცკილომეტრიანი შეჯიბრი ნორვეგიელ ჰალვარდ ჰანევოლდს მოუგია. ხანტები ირმის ხალხია და გამარჯვებულიც ირმებშებმული მარხილით ჩამოუტარებიათ საპატიო წრეზე.



REUTERS ხანტი-მანსიისკიდან

# კრიკეტი წვიმით

კრიკეტის მსოფლიო თასი ფინალისკენ მიაბიჯებს. სამხრეთ აფრიკის მინდვრებზე ნახევარფინალები მიმდინარეობს. პორტ ელიზაბეთის „სენტ ჯორჯ'ზ პარკში" ავსტრალიელთა და შრილანკელთა ჭიდილია. ოზ ენდი ბიჩელს იმგვარად დაუკრავს ტყავის ბურთისთვის, რომ ლანკელ მარვან ატაპატუს ჩიტის თვისებანი დასჭირვებია, ბურთი დაუჭერია და კრიკეტისთვის ნაცად და საჭირო მოძრაობით მინდორში მოუბრუნებია. ჯამში ავსტრალიელებმს მაინც მოუგიათ. ეს მატჩი, რომელსაც მალიმალ წყვეტდა წვიმა იმგვარი სიხშირისა, რომ ძაღლიც არ გაიგდებოდა გარეთ. ოზები ფინალში ინდოელთა და კენიელთა შორის გამარჯვებულს მოელიან.




REUTERS პორტ ელიზაბეთიდან




REUTERS ბუკიტ რაჰმან პუტრადან




REUTERS სინგაპურიდან

# ფორმულის წინ

ამ კვირას მალაიზიის დიდი პრიზისთვის საბრძოლველად ბუკიტ რაჰმან პუტრაში თავს იყრიან მეფორმულენი. ერთ-ერთი პირველი ჩასული ხუან პაბლო მონტოია, „ბმვ-უილიამსის" ხალისიანი კოლუმბიელი, რომელსაც თან განუყრელი მეუღლე კონიც (უკან) ახლავს. ჯერჯერობით სინგაპურშია მერდელესელი კიმი რაიკონენი, რომელიც სინგაპურში „მერსედესის" აზიის კვირეულის" სარეკლამო კამპანიაშია ჩართული და იქაურ მოდელ რებეთ ტანთან იწონებს თავს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი,
გიორგი ღარეჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვაჟო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზბეგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო
ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge